№ 0622-0658401 D 29 06 2022

შპს „ლიბერთი სითი“
ბატონ დავით მახარაშვილს
ელ. ფოსტა: d.makharashvili@gmail.com
ტელეფონი: 599 35 84 07

შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ (შემდგომში „კომპანია“)თქვენი განცხადების საფუძველზე („კომპანიაში“რეგისტრაციის #IN22-0641443, თარიღი 19/05/2022წ. ჭავჭავაძის გამზ. N5ა-ს მიმდებარედ ს/კ 01.14.14.011.048 მშენებლობის გენ. გეგმის შეთანხმების შესახებ), დამატებით გაცნობებთ, რომ „კომპანიასთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, თქვენს მიერ წარმოდგენილი გენ. გეგმა შეთანხმებულია.

ასევე გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე შესაძლებელია გადიოდეს კერძო მფლობელობაში არსებული წყალსადენ-წყალარინების ქსელები, რომელთა შესახებ ,,კომპანია“ ინფორმაციას არ ფლობს.

ქსელის დაზიანების თავიდან აცილების მიზნით, სამუშაოების დაწყების წინ გთხოვთ, დაუკავშირდეთ ,,კომპანიის“ წარმომადგენელს:

ვაკე-საბურთალოს ბიზნეს ცენტრის მენეჯერი კახა წამალაიძე. ტელ: 595 11 55 99.

პატივისცემით,

გიორგი სვანიშვილი
კომერციული დირექტორი

შემსრულებელი: ლ. გაგნიძე; ჯ. ჩაჩხალია
ტელეფონი: 293 11 11 (21-02); (11-27)


მიწისქვეშა პარკინგის
ფილის კონტური
+66.20
+75.30
+72.80
+69.50
+36.80
+38.50
+80.20
IN22-064443
"28" ნოემბერი 2022
423.68
423.55
423.56
423.69
423.75
412.75
426.65
426.74
423.77
427.89
423.76
428.30
428.75
429.46
428.53
429.22
428.71
430.17
426.90
428.93
431.07
429.07
431.44
433.92
434.91
435.72
437.20
434.71
437.78
439.73
441.69
441.89
445.00
446.64
446.57
446.71
446.62
446.69
446.00
437.98
437.80
14qs

ხელშეკრულება

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „**ხელშეკრულება**“) დადებულია ქ. თბილისში, 2022 წლის 27 ივნისს შემდეგ მხარეებს შორის:

ერთი მხრივ, შპს „**ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი**“, ს/ნ 203826002 (შემდგომში „**GWP**“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის, ირაკლი ბაბუხადიას მიერ; და

მეორე მხრივ, **შპს „ლიბერთი სითი“**, საიდენტიფიკაციო ნომერი: 205232773 (შემდგომში „**კომპანია**“), წარმოდგენილი მისი დირექტორის, კობა გილაშვილის მიერ;

„GWP“ და „კომპანია“ ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც „**მხარეები**“, ხოლო ცალ-ცალკე - როგორც „**მხარე**“;

ვინაიდან,

(ა) „კომპანია“ წარმოადგენს შემდეგი უძრავი ქონების, მდებარე ქალაქ თბილისში, ჭავჭავაძის გამზირი N5ა, საკადასტრო კოდი: 01.14.14.011.048 (შემდგომში „**მიწის ნაკვეთი**“) თანამესაკუთრეს და ასევე, „კომპანია“ ახორციელებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის მომზადებას „მიწის ნაკვეთზე“;

(ბ) „კომპანიის“ მიზანია, „მიწის ნაკვეთზე“ აწარმოოს სამშენებლო სამუშაოები და განათავსოს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი (შემდგომში „**ნაგებობა**“);

(გ) „მიწის ნაკვეთზე“ გაედინება „GWP“-ს მფლობელობაში არსებული დ=50მმ-იანი წყალმომარაგების მილი (შემდგომში „**მილი**“), რომელთან მიმართებით, „კომპანიის“ მიერ „ნაგებობის“ მოწყობის შემთხვევაში, დაირღვევა მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების მოთხოვნა, რომ დაშორება წყალმომარაგების მილიდან ნებისმიერ შენობა-ნაგებობამდე უნდა იყოს არანაკლებ 5 მეტრი;

(დ) „მიწის ნაკვეთზე“ ვერ ხორციელდება შურფირებისათვის აუცილებელი ტექნიკის შეყვანა გზის არარსებობის გამო, შესაბამისად ვერ ხერხდება „მილის“ ზუსტი ტრაექტორიის დადგენა;

(ე) შესაბამისად, „კომპანიის“ მიერ სამშენებლო სამუშაოების წარმოებამდე და „ნაგებობის“ მოწყობამდე უნდა მოხდეს „მილის“ ზუსთი ტრაექტორიის დადგენა და საჭიროების შემთხვევაში, მისი გადატანა მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მანძილზე, „GWP“-ს მიერ, რომელთან დაკავშირებული ყველა ხარჯი უნდა აანაზღაუროს „კომპანიამ“.

ამდენად,

1. „კომპანია“ ვალდებულია, „მიწის ნაკვეთზე“ სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს „მიწის ნაკვეთზე“ შურფირების ჯეროვნად განხორციელებისათვის აუცილებელ ტექნიკაზე ადაპტირებული გზის/მოედნის მოწყობა და „მილის“ ზუსტი ტრაექტორიის დადგენა.

2. „კომპანია“ ვალდებულია, შურფირების პროცესი და „მილის“ ზუსტი ტრაექტორიის დადგენა განახორციელოს „GWP“-ს წარმომადგენლების დასწრებით/მონაწილეობით, წინააღმდეგ შემთხვევაში, „კომპანიის“ მიერ ცალმხრივად დადგენილი „მილის“ ტრაექტორია ვერ მიიჩნევა სარწმუნოდ.

3. „მიწის ნაკვეთზე“ „მილის“ ზუსტი ტრაექტორიის დადგენის შემდგომ, იმ შემთხვევაში, თუ განსათავსებელი „ნაგებობა“ „მილთან“ მიმართებით დაარღვევს სამშენებლო ნორმებსა და წესებს, „კომპანია“ ვალდებულია, საკუთარი ხარჯით უზრუნველყოს „მილის“ გადატანა მოქმედი სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ დისტანციაზე, „GWP“-ს მიერ შედგენილი პროექტის მიხედვითა და „GWP“-ს ზედამხედველობით, „GWP“-ს მხრიდან წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან უმოკლეს ვადაში, თუმცა, არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღისა.

4. „კომპანია“ ვალდებულია, „ხელშეკრულების“ მე-3 პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი შეტყობინების მიღებიდან უმოკლეს ვადაში, თუმცა, არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს პროექტირებისა და ტექნიკური ზედამხედველობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული საფასურის გადახდა.

5. „კომპანიის“ მიერ წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე პირობის დარღვევის შემთხვევაში, „GWP“ უფლებას იტოვებს ქალაქ თბილისის მერიიდან გამოითხოვოს „კომპანიის“ მიერ „ნაგებობის“ სამშენებლო სამუშაოებზე გაცემული თანხმობის წერილი და მიმართოს ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალურ ინსპექციას „სამშენებლო სამუშაოების“ შეჩერების მოთხოვნით.

6. „კომპანია“ კისრულობს ვალდებულებას „მიწის ნაკვეთის“ და მომავალში მასზე განთავსებული „ნაგებობის“ ან მისი ნებისმიერი ნაწილის გასხვისების შემთხვევაში, გააცნოს წინამდებარე „ხელშეკრულება“ და მისი შინაარსი ნებისმიერ ახალ შემძენს.

7. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ძალაში შედის და შესასრულებლად სავალდებულო ძალას იძენს „მხარეების“ მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

8. „მხარეები“ ადასტურებენ, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ წინამდებარე „ხელშეკრულების“ შინაარსი, იგი ზუსტად გამოხატავს „მხარეთა“ თავისუფალ ნებას და რომ

მათ მიერ ნების გამოვლენა მოხდა „ხელშეკრულების“ შინაარსის გონივრული განსჯის შედეგად.

9. წინამდებარე „ხელშეკრულება“ რეგულირდება და განიმარტება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. „მხარეთა“ შორის წინამდებარე „ხელშეკრულების“ ირგვლივ წამოჭრილი ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს მოლაპარაკების გზით. იმ შემთხვევაში, თუ „მხარეები“ ვერ შეძლებენ შეთანხმების მიღწევას, დავა განსახილველად გადაეცემა საქართველოს შესაბამისი განსჯადობის სასამართლოს.

11. წინამდებარე „ხელშეკრულების“ რომელიმე დებულების ბათილობა არ იწვევს მისი სხვა დებულებ(ებ)ის ან/და მთლიანად „ხელშეკრულების“ ბათილობას.

12. წინამდებარე „ხელშეკრულება“ ცვლის და აუქმებს „მხარეებს“ შორის ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით მანამდე არსებულ ყველა სხვა წერილობით თუ ზეპირ შეთანხმებას, ხელშეკრულებას, გარიგებას ან/და დათქმას.

13. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შეუზღუდავად ვრცელდება „მხარეების“ უფლებამონაცვლეებზე და სამართალმემკვიდრეებზე, ავალდებულებს მათ და მოქმედებს მათ სასარგებლოდ.

14. წინამდებარე „ხელშეკრულება“ შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემა თითოეულ „მხარეს“.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად, „მხარეებმა“ უზრუნველყვეს წინამდებარე „ხელშეკრულების“ ხელმოწერა, ზემოთ პირველად აღნიშნულ თარიღზე.

შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“	შპს „დიბერთი სითი“
ირაკლი ბაბუხადია გენერალური დირექტორი	კობა გილაშვილი დირექტორი

01011002998.

სამშენებლო ობიექტების
კომპიუტერული ტექნოლოგიებით
პროექტირების საინჟინრო ცენტრი
შპს ალფა პროჯექტ ჯორჯია

ENGINEERING CENTER OF
COMPUTER AIDED
DESIGN
Alpha Project Georgia LTD

ს/კ 406068758

I/C 406068758

ქ. თბილისი, ქ. ჩოლოყაშვილის №57ა, კორ. 3; ბ. 24
57a, Cholokashvili Str., Block #3, Flat#24, Tbilisi, Georgia

27.05.2022

დასკვნა

ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.14.14.011.048) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსისა და მის მოსაზღვრე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთ გავლენის შესახებ.

დამკვეთი შპს „ბანი 2007“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „ალფა პროჯექტ ჯორჯია“-ს სპეციალისტების მიერ განხილული იქნა დამკვეთის მიერ დასმული შემდეგი კითხვები და დავალებები:

1) **იქონიებს თუ არა ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.14.14.011.048) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის ქვაბულის მოჭრისა და მისი ფერდის გამაგრება-გაძლიერების სამუშაოების ჩატარება მომიჯნავე ტერიტორიებზე არსებული შენობება-ნაგებობების ზიდვის უნრზე და მდგრადობაზე**

2) **შეუქმნის , თუ არა საფრთხეს მომიჯნავე შენობა-ნაგეგობების ზიდვის უნარსა და მდგრადობას კომპლექსის მშენებლობა, როგორც მშენებლობის ასევე მისი შემდგომი ექსპლუატაციის პროცესში.**

დამკვეთის მიერ ექსპერტის წინაშე წარმოდგენილი იქნა შემდეგი მასალები:

- ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.14.14.011.048) მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსის პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი, როგორც დაბეჭდილ ასევე ელექტრონულ ვერსისში.

- საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, რომელის დამუშავებული იქნა შპს „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს მიერ 2017წ-ს. (წამვანი ინჟინერ გეოლოგი ნ. ილაშვილი; კვლევების განყოფილების მთავარი გეოლოგი ა. პასიკაშვილი)

საკვლევი ტერიტორიის ზოგადი დახასიათება.

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკეში, ჭავჭავაძის გამზირი 5ა-ში ატენის ქუჩის გაგრძელებაზე (ს/კ01.14.14.011.048).ტერიტორია გეომორფოლოგიურად წარმოადგენს მდ. ვერე-ს ხეობის მარჯვენა ფერდის ნაწილს, რომლის ცენტრალური ნაწილი გაკვეთილია ეროზიული ხევით. რელიეფის აბსოლუტური ნიშნულები სამშენებლო უბნის ფარგლებში მერყეობს 423.40-:-446.70 მ-ის ფარგლებში.

საქართველოს ტერიტორიის სეისმური დარაიონებისა და საინჟინრო გეოლოგიური კვლევების შესაბამისი დასკვნებისა და რეკომენდაციების მიხედვით უბანი განლაგებულია 8 ბალიანი სეისმური საშიშროების ზონაში MSK64 სკალის მიხედვით (A=0.17); გრუნტის კატეგორია სეისმური თვისებების მიხედვით - II; სამშენებლო მოედანზე ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს - 60 კგძ/მ2 (15 წლიანი განმეორებადობის პერიოდით), ხოლო თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგძ/მ2 (14 დღე - თოვლის საფარის დღეთა რიცხვი).

საპროექტო შენობის კონსტრუქციული ნაწილისა და მომიჯნავედ არსებული შენობების კვლევისას გამოყენებული იქნა შემდეგი ნორმატიული დოკუმენტები და ინსტრუქციები:

- სამშენებლო ნორმების და წესების - „სეისმომედეგი მშენებლობა“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2284. 2009 წლის 7 ოქტომბერი, ქ. თბილისი;
- (СНиП II-7-81* Строительство в сейсмических районах)

- სამშენებლო ნორმების და წესების - „ბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (პრ 01.01-09) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/2391. 2009 წლის 23 ოქტომბერი, ქ. თბილისი
- СНиП 2.01.07.85. «Нагрузки и воздействия»
- სამშენებლო ნორმების და წესების -„შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (პრ 02.01-08) საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის ბრძანება № 1-1/1924. 2008 წლის 17 სექტემბერი, ქ. თბილისი;
- СНиП 2ю02ю01-83* „შენობების და ნაგებობების ფუძეები“ (1995 წ-ს განახლება);

1) საპროექტო შენობის მოსაზღვრედ არსებული შენობა-ნაგებობების ვიზუალურ-ტექნიკური გამოკვლევა და მათი მზიდი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება.

საპროექტო შენობა, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზირი #5ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ01.14.14.011.048) (სურ.-1. ფოტო-1)



სურათი-1



ფოტო-1

აღმოსავლეთის მხრიდან საკადასტრო გეგმის (ს/კ 01.14.14.010.012) მიხედვით ესაზღვრება მრავალფუნქციური კომპლექსი, (ფოტო-2;3) რომელიც შედგება სამი ნაკვეთურისაგან. ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან სადეფორმაციო ნაკერით, რომელიც ამავე დროს ანტისეისმური ნაკერის როლსაც ასრულებს. კომპლექსის განაპირა ნაკვეთურები13 სართულიანი, ხოლო შუა ნაკვეთური 14 სართულიანი. სამივე ნაკვეთურს გააჩნია მიწისქვეშა სართულები, რომლებიც განკუთვნილია ავტოფარეხებისათვის და ერთი მანსარდის სართული. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით

ჩარჩოკავშირებიანია მონოლითური დიაფრაგმებით. თითოეული ნაკვეთური გეგმაში მართკუთა მოხაზულობისაა.



ფოტო-2



ფოტო-3

კომპლექსის გაბარიტული ზომები დაახლოებით 93X18მ-ია. შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს: რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები, ფილა-როსტვერკი, მონოლითური სვეტები და სართულშორისი გადახურვის კონსტრუქციები.

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო შენობა ტექნიკური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მას არ აღენიშნება ჯდენით ან სხვა რაიმე ზემოქმედებით გამოწვეული დეფორმაციები.

საროექტო შენობას სამხრეთის მხარეს ესაზღვრება ატენის ქ. #18-ში (ს/კ 01.14.14.011.049) ბდებარე 13 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც შედგება ორი ნაკვეთურისაგან. (ფოტო-4;5) ისინი ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არიან სადეფორმაციო ნაკერით, რომელიც ამავე დროს ანტისეისმური ნაკერის როლსაც ასრულებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ სართულზე სადეფორმაციო ნაკერებში მოწყობილია სათავსები. შენობას გააჩნია ერთი მიწისპირა ავტოფარეხი.(ფოტო-6) შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით ჩარჩოკავშირებიანია მონოლითური დიაფრაგმებით. თითოეული ნაკვეთური გეგმაში რთული მოხაზულობისაა. კომპლექსის გაბარიტული ზომები დაახლოებით 62X20მ-ია. შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს: რკინაბეტონის საძირკვლის ფილა, მონოლითური სვეტები და რიგელები,

სართულშორისი გადახურვის რკინაბეტონის ფილები. შენობის სახურავი ოთხქანობიანია და მოწყობილია თუნუქის ბურულით ხის ნივნივებზე.



ფოტო-4



ფოტო-5

შენობას ფასადზე აღენიშნება დახრილი ბზარები. მეორე სართულზე მიწყობილია დამატებითი რკინაბეტონის აივნები (ფოტო-7), რომელიც გამაგრებულია ლითონის დახრილი ირიბანებით. შეიძლება ითქვას, რომ შენობა ტექნიკური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.



ფოტო-6



ფოტო-7

საპროექტო ტერიტორიას დასავლეთის მხარეს ესაზღვრება „მზიური“-დან ატენის ქუჩაზე ასასვლელი ლითონის ერთმარშიანი კიბე, რომლის მზიდი კონსტრუქციები (კასაურები და საყრდენები) მოწყობილია ლითონის მილკვადრატებით, ხოლო საფეხურები და ბაქნები ლითონის პერფორირებული ფურცლებით.(ფოტო-8;9),

შპს “ალფა პროჯექტ ჯორჯია“
სამშენებლო ობიექტების კომპიუტერული ტექნოლოგიებით პროექტირების საინჟინრო ცენტრი
მობ. 599 74 44 80; e-Mail: Themo_ge@yahoo.de



ფოტო-8



ფოტო-9

საკვლევ ტერიტორიას ჩრდილოეთის მხაეს ესაზღვრება (ს/კ 01.14.14.005.195) საცხოვრებელი კორპუსი, რომელიც 15 სართულიანია. საცხოვრებელი კორპუსის პირველი და მეორე სართულები შესაბამისად გამოყენებულია ავტოფარეხებისა და საოფისე ფართებად. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით ჩარჩოკავშირებიანია მონოლითური დიაფრაგმებით. იგი გეგმაში მართკუთა მოხაზულობისაა.



ფოტო-10



ფოტო-11

მისი გაბარიტული ზომები დაახლოებით 59X19მ-ია (ფოტო-10;11), შენობის მზიდ კონსტრუქციებს წარმოადგენს: რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები, ფილა-როსტვერკი, მონოლითური სვეტები და სართულშორისი გადახურვის კონსტრუქციები.

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო შენობა ტექნიკური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია, მას არ აღენიშნება ჯდენით ან სხვა რაიმე ზემოქმედებით გამოწვეული დეფორმაციები.

საკადასტრო გეგმის (ს/კ 01.14.14.005.248) მიხედვით საპროექტო შენობას ჩრდილო-დასავლეთის მხარეს ესაზღვრება 7 სართულიანი მშენებარე მრავალფუნქციური კომპლექსი.იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა.(ფოტო-12;13)



ფოტო-12



ფოტო-13

დღეის მდგომარეობით დამთავრებულია რკინაბეტონის სამუშაოები, ნაწილობრივ ამოყვანილია ბლოკის კედლები და მიმდინარეობს ფასადზე ვიტრაჟების მოწყობის სამუშაოები. შენობა კონსტრუქციული თვალსაზრისით ჩარჩოკავშირებიანია მონოლითური დიაფრაგმებით. იგი გეგმაშირთული მოხაზულობისაა. რკინაბეტონის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები, ფილა-როსტვერკი, მონოლითური სვეტები და სართულშორისი გადახურვის კონსტრუქციები.

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო შენობის მზიდი ელემენტები მოწყობილი და დამონტაჟებულია მაღალ საშემსრულებლო დონეზე. საერთო დადებითი სურათიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ტექნილური თვალსაზრისით შენობა კარგ მდგომარეობაშია, იგი აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო და სეისმურ ნორმებს.

საკადასტრო გეგმის (ს/კ 01.14.14. 010.028) მიხედვით საპროექტო შენობას სამხრეთ-აღმოსავლეთის მხარეს ესაზღვრება მშენებარე მრავალპროფილური სამედიცინო კომპლექსი, რომელიც შედგება სამი ნაკვეთურისაგან.

I-ნაკვეთური ოთხსართულიანია სარდაფის სართულით. იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები განაპირა ღერძებში 77.50X38.60მ-ია.

II-ნაკვეთური მიწისქვეშა ერთსართულიანია ნაგებობაა, რომელიც განკუთვნილია ავტოფარეხებისათვის იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. იგი გეგმაში რთული მოხაზულობისაა. მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები განაპირა ღერძებში 76.50X24.60მ-ია.

III-ნაკვეთური ხუთსართულიანია გეგმაში რთული მოხაზულობის. მისი მაქსიმალური გაბარიტული ზომები განაპირა ღერძებში 74.60X13.80მ-ია.

კონსტრუქციული თვალსაზრისით შენობა ჩარჩო-კავშირებიან სისტემას წარმოადგენს. სართულშორისი გადახურვები განხორციელებულია 22სმ. სისქის ურიგელო მონოლითური ფილებით(ფოტო14;15),



ფოტო-14



ფოტო-15

ხოლო გადახურვის კონსოლურ ნაწილზე და პერიმეტრზე მოწყობილი აქვს წიბოები (ფოტო16). შენობის დიდმალიანი გადახურვები მოწყობილია ლითონის ფერმების მეშვეობით.(ფოტო17). შენობის საძირკვლის ტიპი ხიმინჯოვანია, რომელიც ეფუძნება ძირითად ქანებს. დღეის მდგომარეობით მიმდინარეობს რკინაბეტონის სამონტაჟო სამუშაოები. დამონტაჟებულია გადახურვის კონსტრუქციები, ამოყვანილია სვეტები და პილონები, მოწყობილია ლითონის ფერმები.



ფოტო-16



ფოტო-17

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო შენობის მზიდი ელემენტები მოწყობილი და დამონტაჟებულია მაღალ საშემსრულებლო დონეზე. საერთო დადებითი სურათიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ტექნილური თვალსაზრისით შენობა კარგ მდგომარეობაშია, იგი აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო და სეისმურ ნორმებს.

საკადასტრო გეგმის (ს/კ 01.14.14. 011.021) მიხედვით საპროექტო შენობას სამხრეთ-დასავლეთის მხარეს ესაზღვრება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის მიწისზედა ერთსართულიანი ავტოფარეხები 20(1) და 24(1). ავტოფარეხები გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა(ფოტო 18;19).



ფოტო-18



ფოტო-19

მათი მზიდი კონსტრუქციებია: რკინაბეტონის ლენტური საძირკვლები, მზიდი კედლები, რომელიც განხორციელებულია აგურის კომპლექსური წყობით, ქვიშა-ცემენტის ხსნარზე. ავტოფარეხში შესასვლელი „ორფრთიანი“ კარი მოწყობილია ლითონისაგან. გადახურვის მზიდი კონსტრუქციები მოწყობილია ხის ნივნივების მეშვეობით, ბურული თუნუქის ფურცლებით.

როგორც ვიზუალურმა დათვალიერებამ ცხადყო ავტოფარეხების ტექნიკური მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. იგი ვერ აკმაყოფილებს ქვეყანაში მოქმედ სამშენებლო და სეისმური ნორმების მოთხოვნებს.

3) გეოლოგიური კვლევის ტექნიკური დოკუმენტაციის შესწავლა და მათი ანალიზი.

აღნიშნულ სამშენებლო ტეიტორიაზე ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნის მიხედვით გამოიყოფა ხუთი ფენა (ფოტო-14) (ფენა#1-ნაყარი; ფენა#2-ძირითადი ქანი ძლიერ გამოფიტული(ელუვირებული ფენა); ფენა#3-ძირითადი ქანი, გამოფიტული; ფენა#4-ძირითადი ქანი ნაკლებად გამოფიტული. სამშენებლო უბანი ხასიათდება გრუნტის წყლის შედარებით ღრმად გამოვლინებით 13-14მ.



ფოტო-18

გეოლოგიური კვლევებისა და შენობის გეგმარებითი პარამეტრებიდან გამომდინარე შენობის საძირკვლის ტიპად მიღებული იქნა რკ.ბ-ის ნაბურღ-ნატენი ხიმინჯები დიამეტრით 1200მმ. იგი ჩაანკერებულია ძირითად ქანში (ფენა-4), რომლის ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლებია: ფენა#5.

სიმკვრივე $\rho=2.4$ტ/მ^3

სიმტკიცის ზღვარი ერთღერძა კუმშვაზე ყალგაჯერებულ მდგომარეობაში Rc,n=134კგ/სმ^2

დრეკადობის მოდული გასაშუალებული Ed=39430კგ/სმ^2

პუასონის კოეფიციენტი μ=0,20

- **საპროექტო შენობის მოკლე კონსტრუქციული დახასიათება**

ასაშენებელი შენობა ოცდაექვს სართულიანია,(მათ შორის ოთხი მიწისქვეშა და ერთი მიწისპირა სართული) ფოტომონტაჟი-1. კონსტრუქციული თვალსაზრისით იგი გადაწყვეტილია, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი სისტემა რკინაბეტონის დიაფრაგმებით; შენობის მაქსიმალური გაბარიტული ზომები **63.82 X 48.00** მ-ია. მალის მაქსიმალური სიგრძე შეადგენს **L=7.00** მ-ს. სართულის სიმაღლეებია: მიწისქვეშა სართულები, რომლების განკუთვნილნი არიან ავტოფარეხებისათვის ტოლია H=3.50. მ-ის. პირველი სართულის სიმაღლე H=4.5მ-ია, ხოლო დანარჩენი სართულის სიმაღლეები ტოლია H=3.30მ-ის.



ფოტომონტაჟი-1

შპს "ალფა პროჯექტ ჯორჯია"
სამშენებლო ობიექტების კომპიუტერული ტექნოლოგიებით პროექტირების საინჟინრო ცენტრი
მობ. 599 74 44 80; e-Mail: Themo_ge@yahoo.de

შენობის ძირითადი მზიდი რკ.ბ-ის კონსტრუქციული ელემენტების ზომები

- ხიმინჯები დიამეტრით 1200მმ.
- საძირკვლის ფილა სისქე H=120სმ.
- რკ.ბ-ისპილონები განივი კვეთის ზომებით: 500X1200მმ; 500X1100მმ; 500X1000მმ; 400X8000მმ;400X600მმ;
- რკ.ბ-ის სვეტები განივი კვეთის ზომებით: 500X500მმ; 600X600მმ;
- მონოლითური დიაფრაგმები: სისქე H=25;30სმ.
- პერიმეტრის მონოლითური კედლები: სისქე H=30სმ.
- სართულშუა გადახურვის ფილები: სისქე H=20;18სმ.
- რკ.ბ-ის მონოლითური კოჭები: 500X500მმ; 400X5000მმ; 300X500მმ; 250X500მმ;
- კიბის პანდუსები და ბაქნები: 180მმ;

პასუხისმგებლობის მიხედვით შენობა განეკუთნება II კლასს.

რკინაბეტონის კონსტრუქციებში გამოყენებულია B30 კლასის ბეტონი. A240C და A500C კლასის არმატურა.

პროექტში მიღებული კონსტრუქციული გადაწყვეტილებები დეტალურად ასახავს ქვაბულის მოწყობისას დამატებით კონსტრუქციული ღონისძიებების გატარებას, (იხ. დანართი-1)სამუშაოთა წარმოების თანმიმდევრობას და ზოგადად შენობის დაფუძნების პირობებიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ მრავალფუნქციური საპროექტო შენობა საფრთხეს არ შეუქმნის მომიჯნავე ნაკვეთებზე არსებული შენობებს მდგრადობის თვალსაზრისით არც მშენებლობის და არც მისი შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში.

ინჟინერ-კონსტრუქტორი:  **ჯ.ზაკუტაშვილი**

შპს "ალფა პროჯექტ ჯორჯია"
სამშენებლო ობიექტების კომპიუტერული ტექნოლოგიებით პროექტირების საინჟინრო ცენტრი
მობ. 599 74 44 80; e-Mail: Themo_ge@yahoo.de

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს
გეოფიზიკური ასოციაცია

60 თბილისი , მ. ალექსიძის ქ.
ტელ. 233-28-67; ფაქსი: 233-28-67
E-mail: Tamaz.chelidze@gmail.com

GEORGIAN
GEOPHYSICAL ASSOCIATION

1 Alexidze str. - Tbilisi 0160 - Georgia
Phone: (995 32) 233-28-67; Fax/phone: (995 32) 233-28-67 ; E-mail: Tamaz.chelidze@gmail.com

ვამტკიცებ _____ 2018 წ.
ა(ა)იპ საქართველოს გეოფიზიკური
ასოციაციის დირექტორი
აკადემიკოსი თამაზ ჭელიძე

ქ. თბილისში მაღლივი შენობის მშენებლობის ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება და გეოფიზიკური კვლევა

(ანგარიში)

თბილისი 2018

I. ქ. თბილისში მაღლივი შენობის მშენებლობის ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება

ძირითადი შემსრულებლები:

ნინო წერეთელი – აკადემიური დოქტორი ფიზიკაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის სექტორის ხელმძღვანელი, მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის წევრი.

ოთარ ვარაზანაშვილი – აკადემიური დოქტორი ფიზიკაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი, საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის წევრი.

ზურაბ გოგოლაძე – მაგისტრი ფიზიკაში, ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის სპეციალისტი, საქართველოს გეოფიზიკური ასოციაციის წევრი.

აბრევიატურები

EC8 – EuroCode 8

EMME – Earthquake Model of Middle East

GEM – Global Earthquake Model

GMPE – Ground Motion Prediction Equation

GSHAP – Global Seismic Hazard Assessment Program

MSK – Medvedev-Sponheuer-Karnik scale

NGA – Next Generation Attenuation

PGA – Peak Ground Acceleration

PGAH – Horizontal Peak Ground Acceleration

PGAV– Vertical Peak Ground Acceleration

SA – Spectral Acceleration

SAH – Horizontal Spectral Acceleration

SETA – SEismic hazard assessment for the Tbilisi test Area

SSZ – Seismic Source Zones

შინაარსი

1. შესავალი 5
1.1. საკვლევი რაიონის გეოგრაფიული მდებარეობა და კლასიფიკაცია სეისმური ნორმების მიხედვით 5
1.2. ობიექტის ტერიტორიის ამგები გრუნტების რხევების გათვლის კრიტერიუმები. 7
2. საკვლევი რაიონის სეისმური ისტორია 8
3. საკვლევი რაიონის სეისმურად აქტიური რღვევები და სეისმური კერების (სკ) ზონები 17
3.1 სეისმურად აქტიური რღვევები 18
3.2 სეისმური კერების (სკ) ზონები 22
4. ობიექტის ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება 27
4.1. სეისმური საშიშროების ალბათური შეფასება 27
4.2. სეისმური საშიშროების დეზაგრეგაცია 34
4.3. სეისმური საშიშროების დეტერმინისტული შეფასება 38
4.4. სამშენებლო მოედნისთვის აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა 40
5. დასკვნები და რეკომენდაციები 43
6. ლიტერატურა 45

1. შესავალი

1.1 საკვლევი რაიონის გეოგრაფიული მდებარეობა და კლასიფიკაცია სეისმური ნორმების მიხედვით

წარმოდგენილი ანგარიში მომზადებულია სეისმური საშიშროების დასადგენად, რაც აუცილებელია სეისმომედეგი მაღლივი შენობის დაპროექტებისა და მშენებლობისათვის ქ. თბილისში. ამ ობიექტის (ობიექტი - მაღლივი შენობა სავარაუდო სართულიანობით - 40) სამშენებლო მოედანი მდებარეობს ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზ. #5ა-ში, ატენის ქუჩის გაგრძელებაზე (საკადასტრო კოდი 01.14.14.011.048), მდ. ვერეს ხეობის მარჯვენა ფერდზე, სადაც ზედა ეოცენის ნალექები უშუალოდ გამოდიან ზედაპირზე (ნახ. 1).

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, სადაც განლაგებულია მოცემული ობიექტი, გეომორფოლოგიური თვალსაზრისით მრავალფეროვანია. საქართველოს დედაქალაქი მდებარეობს ე.წ. „თბილისის ქვაბულში“. იგი განფენილია მდინარე მტკვრის ორივე სანაპიროზე. ზღვის დონიდან მისი სიმაღლე 380-600 მეტრია. ჩრდილოეთით თბილისს ესაზღვრება საგურამოს ქედის სამხრეთ მთისწინეთი, აღმოსავლეთით – ივრის ზეგნის ჩრდილო-დასავლეთი მონაკვეთი. დასავლეთით და სამხრეთით კი – თრიალეთის ქედის განშტოებები.

დედაქალაქის ფართობი 720 კვადრატული კილომეტრია. ქალაქის მთავარი წყლის არტერიაა მტკვარი, რომელიც თბილისს კვეთს ჩრდილოეთ-დასავლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ხშირია წყალდიდობა გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში; წყალმცირობა – ზამთარში. მტკვრის შენაკადებია: მარჯვენა – დიღმისწყალი, ვერე და წავკისისწყალი; მარცხენა – გლდანისხევი და ლოჭინა. მდინარე მტკვრის ხეობის ფსკერი, ქალაქის ფარგლებში, მერყეობს ზღვის დონიდან 425 მ (დიღომი) - 370 მ-მდე (ორთაჭალა). მთაწმინდის სიმაღლე ზღვის დონიდან 719 მეტრზეა. საცხოვრებელი უბნების მიხედვით ყველაზე მაღლაა „ნუცუბიძის პლატო“, რომელიც ზღვის დონიდან 700 მ-ზე მდებარეობს, ხოლო საკვლევი ობიექტი ზღვის დონიდან დაახლოებით 424 მეტრზეა.

ფიზიკურ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მდინარე მტკვარი თბილისს ორ მკაფიოდ გამოხატულ ერთეულად – მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებად ყოფს.

მარჯვენა სანაპირო (სადაც საკვლევი ობიექტი მდებარეობს) რელიეფურად წარმოდგენილია თრიალეთის ქედის განშტოებებით, რომლებიც ციცაბოდ ეშვება მტკვრის ხეობისკენ. მათ შორის მოქცეულია მტკვრის შენაკადთა ხეობები. მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარეობს მახათას მთა, რომლის სიმაღლე 630 მ-ს აღწევს. თბილისის რელიეფი კარგად გამოხატული ტერასებით ხასიათდება.

ამ ობიექტის გარემომცველი საკვლევი რაიონი (50 კმ რადიუსით საკვლევი ობიექტის გარშემო) მოიცავს კავკასიის 3 მთავარი ტექტონიკური ერთეულისა და 5 ქვეზონის ნაწილებს (ჩამონათვალი მოცემულია N-S მიმართულებით): კავკასიონის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი (კავკასიონის შუალედური და სამხრეთ ფერდის ზონა,); ამიერკავკასიის მთათაშუა დაბლობი (მტკვრის დაბლობი); მცირე კავკასია (აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი; ართვინ-ბოლნისის ბელტი).

საკვლევი რაიონისთვის დამახასიათებელია დედამიწის ქერქის რთული ბლოკური აგებულება. იგი მოიცავს ზემოთ აღნიშნული ტექტონიკური ერთეულების ყველა ძირითადი სეისმურად აქტიური ზონების ნაწილს. საკვლევი არე აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის აღმოსავლეთ დაბოლოებაში მდებარეობს და მისი მაღალი სეისმური აქტივობა (განსაკუთრებით ისტორიულ წარსულში) მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თბილისის მუნიციპალიტეტის მაღალ სეისმურობას.

საქართველოს სეისმური საშიშროების მოქმედი ნორმატული რუკა სეისმური ზემოქმედების სიმძიმეს გამოხატავს მაკროსეისმურ ინტენსივობაში (MSK სკალა) და გრუნტის პიკურ აჩქარებაში (PGA) 2% გადაჭარბების ალბათობით 50 წელში. იგი გათვლილი იყო 1999 წელს, ხოლო რედაქტირების შემდეგ ძალაში შევიდა 2010 წელს. მისმა შედარებამ საერთაშორისო პროექტებში შექმნილ ალბათურ რუკებთან: GSHAP (1997 წ.), NATO SFP 974320 (2011 წ.), EMME (2013 წ.) და სხვა ავტორთა რეალურ გათვლებთან (იხ. მაგ.: Slejko, 2008) გვიჩვენა, რომ ნორმატულ რუკაზე მოცემულია PGA-ს 2-3-ჯერ უფრო დაბალი მნიშვნელობები. ამდენად აშკარაა, რომ სეისმური საშიშროების ნორმატიული რუკა დღეისათვის საჭიროებს საფუძვლიან გადათვლას, ხოლო მასზე დაფუძნებული სამშენებლო ნორმები - ძირეულ განახლებას. ამ ნორმატიული დოკუმენტის ,,სეისმომედეგი მშენებლობა“- PN 01.01-09 (Georgian building code, 2009) მიხედვით საკვლევი ობიექტი ხვდება 8 MSK ინტენსივობის

ზონაში, მაშინ როდესაც PGA-ს მნიშვნელობა მისთვის მხოლოდ 0.17 g შეადგენს. ამიტომ, ასეთ პირობებში, საქართველოს ტერიტორიაზე ნებისმიერი ობიექტის სეისმური საშიშროების შეფასება და სეისმომედეგობის დადგენა ითხოვს თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებას.



ნახ. 1. საკვლევი რაიონისა და ობიექტის გეოგრაფიული მდებარეობა და საზღვრები.

1.2. ობიექტის ტერიტორიის ამგები გრუნტების რხევების გათვლის კრიტერიუმები

გამორჩეული არქიტექტურის მქონე მნიშვნელოვანი ობიექტის პროექტირება და მშენებლობა ითვალისწინებს მათი სეისმომედეგობის შეფასების რამოდენიმე ეტაპს. წარმოდგენილი ანგარიში ეხება ამ შეფასების პირველ და მეორე ეტაპს და გულისხმობს ობიექტის სამშენებლო მოედანზე დეტერმინისტული და ალბათური სეისმური საშიშროების დადგენას, რაც დაფუძნებულია საკვლევი რაიონის აქტიურ სეისმოტექტონიკურ სტრუქტურებზე. მეორე ეტაპზე ხდება ობიექტის ტერიტორიაზე მოსალოდნელი მიწისძვრების აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა.

გარდა ამისა, სამშენებლო მოედნის სეისმური საშიშროების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს მოსალოდნელი მიწისძვრების დროს ამგები გრუნტების რხევების ორ დონეს. პირველი დონის მეტად ინტენსიურ რხევებზე დაპროექტებული შენობა მაქსიმალური მიწისძვრების შემთხვევაში უნდა ინარჩუნებდეს კონსტრუქციულ

მთლიანობას და უნდა გამორიცხული იყოს მისი სრული ან ნაწილობრივი ნგრევა. მეორე დონის უფრო ნაკლებად ინტენსიურ რხევებზე შენობის დაპროექტება დაკავშირებულია ეკონომიკური დანაკარგების შემცირებასთან და შესაბამისი ინტენსივობის მიწისძვრების ზემოქმედების შემთხვევაში შენობას არ უნდა სჭირდებოდეს კაპიტალური რემონტი.

ჩვენ შემთხვევაში საკვლევი რაიონის სეისმურობიდან გამომდინარე და ვინაიდან საქმე გვაქვს მაღალი რისკის მქონე მაღლივ შენობასთან, შეიძლება დავუშვათ, რომ სეისმური ზემოქმედების პირველ დონედ განისაზღვროს, ალბათურად შეფასებული გრუნტის სეისმური რხევები განმეორების საშუალო პერიოდით 2475 წელი, რაც შეესაბამება 2% გადაჭარბების ალბათობას 50 წლის განმავლობაში. ხოლო მეორე დონედ მისაღებია 50 წელში 10% გადაჭარბების ალბათობის, ანუ 475-წლიანი განმეორების საშუალო პერიოდის შესაბამისი გრუნტის სეისმური რხევების სიდიდე.

2. საკვლევი რაიონის სეისმური ისტორია

საკვლევი რაიონის დანაკვირვები სეისმურობის კანონზომიერებათა დასადგენად, პირველ რიგში, თსუ მ. ნოდიას სახ. გეოფიზიკის ინსტიტუტის სეისმურ მონაცემთა ბაზის საფუძველზე, შედგენილ იქნა შემდეგი კატალოგები და კრებულები: 1) მოცემულ რაიონში უძველესი დროიდან 2017 წლის ჩათვლით ყველა დაფიქსირებული მიწიძვრის კატალოგი; 2) ამავე პერიოდის ზომიერი და ძლიერი მიწისძვრების კატალოგი მაგნიტუდით $M_S>3.5$; 3) ძლიერი მიწისძვრების მაკროსეისმურ მონაცემთა კატალოგი და იზოსეისტების რუკების ნაკრები; 4) აქტიური რღვევების პარამეტრების კატალოგი და 5) ძლიერი მოძრაობების პროგნოზირების განტოლებების მოდელების (GMPE მოდელები) ნაკრები.

აღნიშნული მასალების საფუძველზე აგებულ იქნა მთელი საკვლევი რაიონისა და ობიექტის გარშემო 25 კმ რადიუსის მქონე ახლო ზონის ეპიცენტრების რუკები (იხ. ნახ. 2, 3). ისინი პრაქტიკულად გვიჩვენებენ მოცემულ ტერიტორიაზე სხვადასხვა მაგნიტუდის მიწისძვრების განაწილებას. ამ რუკებზე დატანილია უძველესი დროიდან 2017 წლის ჩათვლით კატალოგირებული ყველა მიწისძვრა. ზომიერი და ძლიერი მიწისძვრებისთვის მითითებულია მათი წარმოშობის წელი.

მიღებული რუკების ერთობლივმა ანალიზმა ცხადად გვიჩვენა სეისმოლოგიური ვითარება, რომელიც შეიქმნა საკვლევ რაიონში. კერძოდ, ამ ორი რუკის მიხედვით (ნახ. 2, 3) მთელი საკვლევი რაიონი დაფარულია მიწისძვრის ეპიცენტრებით, მაგრამ სხვადასხვა სიმკვრივით. ეპიცენტრების შედარებით მაღალი კონცენტრაციის არეები აღინიშნება ე.წ. მცხეთის, თბილისის, ხაშმისა და ხრამის მიწისძვრების ეპიცენტრული ზონების სახით. ამავე დროს, ობიექტის გარშემო ზომიერი და ძლიერი ისტორიული მიწისძვრების (წარმოშობილი 1900 წ.-მდე) ეპიცენტრების დიდი რაოდენობა მეტყველებს იმაზე, რომ ისტორიულ წარსულში ეს ლოკალური არე მაღალი სეისმური აქტივობით გამოირჩეოდა და ეს პროცესი გრძელდება დღემდე 1969-70 წწ.-ისა და 2002 წ.-ის მიწისძვრების მთელი სერიების სახით, რომელთაგან უდიდესს (2002 წლის 25 აპრილის თბილისის მიწისძვრას, M_S=4.6, I_O=7.5 MSK) საკვლევ ობიექტზე 7 MSK ინტენსივობის ეფექტი ჰქონდა.

უნდა აღინიშნოს, რომ ძლიერ მიწისძვრებს აქვთ მნიშვნელოვანი გავლენა საკვლევი რაიონის სეისმურობაზე, განაკუთრებით, ობიექტის ტერიტორიის სეისმური საშიშროების ანალიზის დროს. ზომიერი და ძლიერი მიწისძვრების ეპიცენტრების, აგრეთვე დანაკვირვები და თეორიული იზოსეისტების რუკების ანალიზმა ცხადყო, რომ საკვლევ რაიონში და კერძოდ ობიექტის ტერიტორიაზე ისტორიულ წარსულში 6 და მეტი MSK ინტენსივობით გამოვლინდა საქართველოს ტერიტორიაზე ან მის გარეთ მომხდარი ბევრი ძლიერი და უძლიერესი მიწისძვრა: ბებნისის ჩვ. წ. აღ. 85 წ. (M_S≈7.0, I_{Obj}≈6.0); მცხეთის 1275 წ. წ. (M_S≈6.5, I_{Obj}≈8.0); შემახის 1668 წ. (M_S≈7.8, I_{Obj}≈7.5); თბილისის 1682 წ. (M_S≈4.2, I_{Obj}≈6.5); ალავერდის 1742 წ. (M_S≈7.0, I_{Obj}≈7.0); თბილისის 1819 წ. (M_S=4.5, I_{Obj}=6.5); მცხეთის რაიონის 1890 წ. (M_S=5.2, I_{Obj}=6.0); თბილისის რაიონის 1896 წ. (M_S=6.3, I_{Obj}=7.0); 1913 წ. (M_S=5.6, I_{Obj}=6.0); ქართლის 1920 წ. (M_S=6.2, I_{Obj}=6.0); ტაბაწყურის 1940 წ. (M_S=6.0, I_{Obj}=6.0); სპიტაკის 1988 წ. (M_S=6.9, I_{Obj}=6.0); თბილისის 2002 წ. (M_S=4.6, I_{Obj}=7.0). საყურადღებოა ის ფაქტი, რომ აღნიშნული ისტორიული მიწისძვრებიდან ბევრი უშუალოდ ობიექტის სიახლოვეში (ეპიცენტრული მაძილი ობიექტამდე Δ=18 კმ) წარმოიშვა და მათ შორის ერთს (1275 წ.) ობიექტის ტერიტორიაზე 8 MSK ინტენსივობის, ხოლო მეორეს (1896 წ.) 7 MSK ინტენსივობის მაკროსეისმური ეფექტი ჰქონდათ.



ნახ. 2. ზომიერი და ძლიერი მიწისძვრების (Ms>3.5) ეპიცენტრების რუკა.



ნახ. 3. საკვლევი ობიექტის ახლო ზონაში ყველა დაფიქსირებული მიწისძვრების ეპიცენტრების რუკა.

ამრიგად, დანაკვირვები სეისმურობის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საკვლევ რაიონში ეპიცენტრების შედარებით მაღალი კონცენტრაციის არეები

აღინიშნება ე.წ. მცხეთის, თბილისის, ხაშმისა და ხრამის მიწისძვრების ეპიცენტრულ ზონებში, ხოლო ობიექტის გარშემო ზომიერი და ძლიერი ისტორიული მიწისძვრების ეპიცენტრების დიდი რაოდენობა ამ ლოკალური არის მაღალ სეისმურ აქტივობაზე მიუთითებს ისტორიულ წარსულში.

განვლილი ისტორიული დროის განმავლობაში ყველაზე მაღალი სეისმურობა (8 MSK ინტენსივობის) ობიექტის ტერიტორიაზე შექმნა ახლო ზონაში მომხდარმა უძლიერესმა მცხეთის მიწისძვრამ (1275 წ.). ხოლო 1969-70 წწ. და 2002 წ.-ში მომხდარი მიწისძვრების სერიები მოწმობენ ობიექტის გარემომცველი ლოკალური არის თანამედროვე მაღალ სეისმურ აქტივობაზე.

ქვემოთ, მოცემულია საკვლევ რაიონში დაფიქსირებული უძლიერესი ისტორიული მიწისძვრის დეტალური აღწერა (Varazanashvili et al., 2011) და MSK სკალით ინტენსივობის შეფასება; ამ მონაცემების მოკლე ანალიზი; მიწისძვრების საბოლოო პარამეტრები მათი განსაზღვრის სიზუსტეების მითითებით. გარდა ამისა, წარმოდგენილია რუკები, რომელზეც დატანილია იზოსეისტები, პუნქტები ინტენსივობით, მიწისძვრის ეპიცენტრი, აქტიური რღვევები, სეისმოდისლოკაციები, მეწყერები, აგრეთვე ობიექტის ფარდობითი მდებარეობა ამ მიწისძვრასთან მიმართებაში.

1275 წელი, მცხეთის მიწისძვრა

მდინარე არაგვის ნაცხორის ხეობაში ლ. კოღოშვილმა (1970) აღმოაჩინა ორი პარალელური ნასხლეტი 1.5-2.0 მეტრით აწეული ჩრდილო ფრთებით. ისინი გლეჯენ პირველი ტერასის ალუვიულ დანალექს, აგრეთვე მის ქვეშ დაგებულ თიხოვან ქვიშაქვას და ფიქალს. ჩრდილო ნასხლეტის ორივე ფრთაში წანაცვლების სიბრტყესთან ახლოს კენჭები მასთან მიმართებაში დახრილია ან ვერტიკალურად არის ორიენტირებული (გრძელი ღერძის გასწვრივ). ნასხლეტის აწეულ ფრთაში ცალკეული კენჭები ჩაჭედილია გაგლეჯილ ფენებში. ეს რღვევის გასწვრივ იმპულსური წანაცვლებების (ანუ მიწისძვრის) აშკარა ნიშანია, რომლის სავარაუდო ასაკი ერთი ან ორი ათასი წელია (Когошвили, 1970; Хромовских, Никонов, 1984).

ქართველი ანონიმური ჟამთააღმწერელის მატიანეში (ჟამთააღმწერელი, 1987). მოყვანილია: „...ესე რისხვა საშინელი სამცხესა ოდენ მოიწია, ვიდრე თვისა ერთისა ჟამთამდე, გარნა სხუაგან არასადა ევნო. მცხეთის საყდარიცა დაიქცა...“
(...ეს საშინელი მიწისძვრა მხოლოდ სამცხეში მოხდა, ერთ თვემდე გრძელდებოდა, სხვაგან არაფერი დაზიანებულა. მცხეთის საყდარიც დაინგრა...).

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით (ბატონიშვილი ვახუშტი, 1973) ტექსტის შინაარსი ფაქტიურად იგივეა: „შეიძრა ქუეყანა ხუთშაბათსა ვნებისასა...არამედ ესევითარი ძვრა იყო სამცხეს და არა სადა სხუაგან, თვინიერ დაიქცა მცხეთა.“ (ხუთშაბათს ქვეყანა შეიძრა...მიწისძვრა იყო სამცხეში და არა სხვაგან, მცხეთის საყდარიც დაიქცა.)

„ვახტანგ გორგასალმა მცხეთა აღაშენა ქვით კირის ხსნარზე და ფრიად შეამკო. მანვე დასვა კათალიკოსი. ამის შემდეგ, მიწისძვრით დანგრეული (ეკლესია სვეტიცხოვლის ტაძარი) აღდგინა მეფე გიორგიმ (V ბრწყინვალე, 1318-1346 წწ.)...“ (Царевич Вахушты, 1904; Натроев, 1900).

სომეხი ისტორიკოსი სამუელ ანეცი იძლევა მოკლე ცნობას: „1285 წელს მოხდა მიწისძვრა თბილისში“ (Samuel Anetsi, 1989).

საქართველოს ისტორიის და კულტურის ძეგლთა აღწერილობაში არის შემდეგი ცნობები: სამთავროს კომპლექსი – 1283წ. მიწისძვრის შედეგად გუმბათი ჩაინგრა და იგი XIII-XIV საუკუნეთა მიჯნაზე აღადგინეს; სვეტიცხოველის კომპლექსი – თავისი არსებობის მანძილზე არაერთხელ დამუქრებია მას განადგურების საფრთხე. 1283წ. ტაძარი მიწისძვრამ დააზიანა. XIV საუკუნეში გიორგი ბრწყინვალემ (1314-1346 წწ.) აღადგინა ტაძრის გუმბათი (საქართველოს ისტორიისა..., 1990).

ძლიერი მიწისძვრების ახალი კატალოგის 1977 წლის პირველ გამოცემაში (Новый каталог..., 1977), ამ მიწისძვრის ეპიცენტრი მოთავსებული იყო ქ. გორთან ახლოს. როგორც ჩანს ასეთ გადაწყვეტილებაზე გარკვეული გავლენა იქონია ამ მიწისძვრის მაკროსეისმურმა მონაცემებმა ორი საკმაოდ დაშორებული რაიონიდან: იმ საუკუნის საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ პროვინცია - სამცხიდან და ქ. მცხეთიდან.

ეპიცენტრი აღნიშნულ ორ რაიონს შორის მდებარე სეისმოაქტიურ ზონაში იქნა დასმული. ახალი კატალოგის 1982 წლის ამერიკულ გამოცემაში (New Catalogue…, 1982) ამგვარი ინტერპრეტაცია უარყოფილ იქნა და დაშვებულ იქნა ვარიანტი, რომ ადგილი ჰქონდა ორ დამოუკიდებელ სამცხის (1283 წ.) და მცხეთის (1275 წ.) უძლიერეს მიწისძვრებს.

ხანდაკის სეისმოგენური მეწყერი მდებარეობს სოფ. ხანდაკის სამხრეთით, მდ. მტკვრის ხეობის მარჯვენა ტერასირებულ ფერდობზე. მეწყერი წარმოქმნილია ტექტონიკურად ძლიერ აშლილი ცოცხალი რღვევებით ურთიერთ გადამკვეთ ზედა ცარცის კარბონატულ ნალექებში, რომელიც ლითოლოგიურად წარმოდგენილია მერგელოვანი კირქვებით ვულკანოგენურ ბრექჩიებთან მორიგეობაში. ამ ნალექებში განვითარებულია დიდი მეწყრულ-გრავიტაციული ბლოკი, რომელიც მორფოლოგიურად წარმოადგენს 700 მ სიგრძისა და 40-60 მ. სიმაღლის სერს, გადაადგილებულს ჩრდილოთით 300 მ-ის მანძილზე მდ. მტკვრის II ტერასის საფეხურამდე. ამ გრავიტაციული სერის ამგები ქანები ძლიერ აშლილია და დამსხვრეულია სხვადასხვა კუთხით მიმართულ ცალკეულ ბლოკებად. მეწყრული სხეული სტაბილურია, მისი წარმოშობის ისტორია უდავოდ უკავშირდება დიდი მიწისძვრის ზემოქმედებას (ინფორმაცია მოპოვებულია 2007 წლის კომპლექსური გეოლოგიურ-გეომორფოლოგიური და გეოფიზიკური ექსპედიციური კვლევების დროს).

ამგვარად, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქართველი ანონიმური მემატიანის ქრონიკებში მოცემული სამცხის მიწისძვრის აღწერაში არის მინაწერი, რომ ასევე დაინგრა სვეტიცხოვლის ტაძრი ქ. მცხეთაში. ძველი საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია – სამცხე დაშორებული იყო ქ. მცხეთიდან დაახლოებით 130 კმ-ით, ამიტომ დამანგრეველ მიწისძვრას (I_O=9-10), რომელიც წარმოიშვა სამცხეში შეეძლო გამოეწვია ქ. მცხეთაში I≈6-7 ინტენსივობის რყევები. ისინი შეიძლება გაძლიერებულიყო I≈7-8 ინტენსივობამდე სვეტიცხოვლის ტაძრის ქვეშ ცუდი გრუნტის პირობების გამო, მაგრამ მათ არ შეეძლოთ დაენგრიათ სვეტიცხოვლი, ასევე სამთავროს ტაძარი ქ. მცხეთაში და ბებრის-ციხე ნაცხორის ხეობაში, რომელთა ნგრევის შესახებ არსებობს მონაცემები სხვა წყაროებში (Хромовских и др., 1979).

ამდენად, უფრო ალბათურია ცალკეული ძლიერი მიწისძვრის ვარიანტი, რომელიც წარმოიშვა XIII საუკუნის მეორე ნახევარში (~1275 წ.), მით უფრო, რომ ქ. მცხეთის ჩრდილოეთით – ნაცხორის ხეობაში ლ. კოღოშვილმა (1970) იპოვა ორი სეისმოდისლოკაციური სტრუქტურა დაახლოებით იმავე ასაკის, როგორიც ახლად აღმოჩენილი მცხეთის მიწისძვრაა (ნახ. 5). დასაშვებია, რომ მცხეთის მიწისძვრის ძირითადი პარამეტრები არის: თარიღი – 1275 წ. ($\Delta T=\pm 10$ წ.); ეპიცენტრის კოორდინატები – $\varphi=41.85^{o}$, $\lambda=44.70^{o}$ ($\Delta E=\pm 0.2^{o}$); სიღრმე – $h=15$ კმ ($\Delta h=7$-30 კმ); მაგნიტუდა – $M_S=6.5$ ($\Delta M_S=\pm 0.5$); ინტენსივობა ეპიცენტრში – $I_o=9$ ($\Delta I_o=\pm 1$).

წყაროები:

Когошвили, Л.В. 1970. Живая тектоника Грузии и ее воздействие на рельеф. Изд-во Мецниереба, Тбилиси, 220 с.

Хромовских, В.С., Никонов А.А. 1984. По следам сильных землетрясерий. Изд-во Наука, Москва, с. 118.

ჟამთაღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. რ. კიკნაძის გამოცემა. 1987. თბილისი, გვ. 167-168.

ბატონიშვილი ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა. 1973. თბილისი, გვ. 230.

Царевич Вахушты. География Грузии. Перевод М. Джанашвили. 1904. Зап. Кавказский отд. РГО, кн. XXIV, вып. 5,Тифлис, с. 67-68.

Натроев А. 1900. Мцхета и его собор Свети-Цховели. Тифлис, с. 191-192.

Samuel Anetsi. 1989. Echmiadzin, 2-3, 88. (in Armenian)

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა აღწერილობა. 1990. წიგნი 5. თბილისი, გვ. 254, 262.

Новый каталог сильных землетрясений на территории СССР (Кавказ). 1977. Изд-во Наука, Москва, с. 69-170.

New Catalog of Strong Earthquakes in the USSR. 1982. NOAA, USA, p.171.

Хромовских В.С., Солоненко В.П., Семенов Р.М., Жилкин В.Н. 1979. Палеосейсмогеология Большого Кавказа. Изд-во Наука, Москва, с. 79-83.



ნახ. 4. 1275 წ. მცხეთის მიწისძვრის ინტენსივობის განაწილების რუკა. პირობითი ნიშნები: 1 - სეისმოდისლოკაცია; 2 - მეწყერი; 3 - ეკლესია; 4 - ციხესიმაგრე; 5 - სასახლე; 6 - დასახლებული პუნქტი MSK ინტენსივობით; 7 - სოფლები და ქალაქები; 8 - არე MSK ინტენსივობით; 9 - მიწისძვრის ეპიცენტრი; 10 - იზოსეისტი; 11- აქტიური რღვევა; 12 - მდინარე.

1896 წლის თბილისის რაიონის მიწისძვრა

„1896. სექტემბერი 22; 5 სთ. მიწისძვრამ მოიცვა დიდი რაიონი. შედარებით ძლიერად ის გამოვლინდა ყვირილადან (დასავლეთით) ევლახამდე (აღმოსავლეთით), უფრო სუსტად სამტრედია და სოფ. რიონიდან ლაკი და აჯიკაბულამდე. ის იყო ძლიერი თბილისიდან ჩრდილოეთით მლეთაში, ფასანაურში, გუდაურში და კობში; შედარებით მსუბუქი რყევები იგრძნობოდა ყაზბეგში, ლარსში და ვლადიკავკაზში; სამხრეთით ძლიერი რყევები დაიკვირვებოდა დილიჟანში, უფრო სუსტად ქალაქების ერევნის და ყარსის მიმართულებით. ტიფლისში იყო ძლიერი მიწიშქვეშა დარტყმა, ერთი წუთის შემდეგ მოხდა კიდევ ერთი დარტყმა, პირველზე უფრო ძლიერი. პირველი რყევა გრძელდებოდა 10 წმ, მეორე 15 წმ, იყო კიდევ მესამე; დარტყმებს თან ახლდა მიწისქვეშა გუგუნი. მეორე და მესამე იმდენად ძლიერი იყო, რომ მძინარენი ცვიოდენ საწოლებიდან, სკდებოდა ბათქაში, იმტვრეოდა ჭურჭელი, ინგრეოდა საკვამურები. იყო პანიკა. კოჯორი. ძლიერი მიწისძვრა, რომლისგანაც ერთი სახლის

კედლებში გაჩნდა ბზარები. ელიზავეტპოლში 3 წამის განმავლობაში იყო 2 რყევა, რომელსაც თან ახლდა ცალკეული ჭექა-ქუხილის მსგავსი ხმაური, ჭრიალებდა ჭერი, ირყეოდა ლამპები, წკრიალებდა ჭურჭელი, ცვიოდა სურათები, ერთი ძველი შენობა დაჯდა და დაიბზარა. ღვარები. იგრძნობოდა საკმარისად ძლიერი ტალღისებრი მიწისძვრა მიმართული აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ. იყო პანიკა; მთებიდან მოგორავდა უზარმაზარი ქვები. გომბორი. გაისმა ჭექა-ქუხილის მსგავსი გუგუნი, რამოდენიმე წამის შემდეგ დაიწყო ნიადაგის მკვეთრი რყევა; ხანგრძლიობა 1 წუთი; ძნელი იყო ფეხზე დგომა, სახლები დაიბზარა, კედლები ირხეოდა, ჭურჭელი და ფანჯრის მინები წკარუნობდა, რხევები მოდიოდა ჩრდილო-აღმოსავლეთიდან. სალოგლი. ძლიერი რყევები გრძელდებოდა დაახლოებით ერთი წუთი, დაზიანდა სადგურის შენობის კედლები, გაჩერდა საათი. თელავი. დარტყმები მოდიოდა აღმოსავლეთიდან, სასწავლებლის კედლები დაიბზარა, ზედა სართულის ჭერი შესამჩნევად დაშორდა შემოფიცვრას, სამელნეები ცვიოდა მაგიდებიდან. მიწისძვრა საკმარისად ძლიერად იგრძნობოდა პუნქტებში: ბორჯომი, სიღნაღი, ალექსანდრეპოლი, ახალქალაქი, ქუთაისი და ამიერკავკასიის სხვა ადგილებში“ (Bius, 1948).

„1896 IX 22; φ=41.58, λ=45.17“ (Bius, 1952).

„1896 სექ 22 05 სთ.; Lat(º)=41.6, Long(º)=45.2; h=18 კმ; M=5.2; I_o=7“ (New Catalog…, 1982).

„1896 9 22 3 53; φ=41.6, λ=45.0; h=30 კმ; M=6.3; I_o=7.5“ (Shebalin, Tatevossian, 1997).

ჩვენს მიერ შედგენილი იზოსეისტების ახალი რუკისა (ნახ. 4) და საქართველოს ტერიტორიისათვის განსაზღვრული მაკროსეისმური ველის განტოლებებისა და შესაბამისი ნომოგრამების საფუძველზე – φ=41.65°, λ=45.00°; h=20 კმ; M=6.0; Io=7.5. თუ გავითვალისწინებთ, რომ ნაშრომში (Abe, 1994) მოცემულია ამ მიწისძვრის ინსტრუმენტული მაგნიტუდა, მაშინ მისი ძირითადი პარამეტრები უნდა იყოს შემდეგი: თარიღი – 1896 წ. 22 სექტემბერი 03 სთ 53 წთ (Δt=±10 წთ); ეპიცენტრის კოორდინატები – φ=41.65°, λ=45.00° (ΔE=±0.2°); სიღრმე – h=25 კმ (Δh=12-37 კმ); მაგნიტუდა – M=6.3 (ΔM=±0.5); ინტენსივობა ეპიცენტრში – Io=7.5 (ΔIo=±1).

წყაროები:

Bius, Ye. I. 1948. Seismic conditions of the Trans-Caucasus, part I. Acad. Scf. GSSR, Tbilisi, p. 65. (in Russian)

Bius, Ye. I. 1952. Seismic conditions of the Trans-Caucasus, part II. Acad. Scf. GSSR, Tbilisi, p. 78. (in Russian)

New Catalog of Strong Earthquakes in the USSR. 1982. NOAA, USA, p.157.

Shebalin, N.V., Tatevossian, R. E. 1997. Catalogue of large historical earthquakes of the Caucasus. Historical and Prehistorical earthquakes in the Caucasus. Kluwer Academic Publishers. Netheralnd. pp. 201-232.

Abe, K. 1994. Instrumental magnitudes of historical earthquakes, 1892-1898. BSSA, 84, 2, 415-425.



ნახ. 5. 1896 წ. თბილისის რაიონის მიწისძვრის ინტენსივობის განაწილების რუკა. პირობითი ნიშნები იგივეა, რაც ნახ. 4-ზე.

3. საკვლევი რაიონის სეისმურად აქტიური რღვევები და სეისმური კერების (სკ) ზონები

მოცემული რაიონის სეისმურობის დეტალური გამოკვლევა შეუძლებელია სეისმოტექტონიკური პირობების კანონზომიერებათა შესწავლის გარეშე. ასეთი შესწავლის უშუალო რეზულტატს წარმოადგენს სეისმური კერების (სკ) ზონების გამოყოფა. ამ სამუშაოში გამოყენებული სკ ზონების გამოყოფის მეთოდიკა

(Varazanashvili, 1989, 1998) ემყარება გეოლოგიურ-გეოფიზიკური და სეისმოლოგიური მონაცემების ფართო წრეს, ხოლო მისი კონცეპტუალური საფუძველი საქართველოს ტერიტორიის დედამიწის ქერქის რთული ბლოკური აგებულებაა. ენდოგენური პროცესებით გამოწვეული დედამიწის ქერქის უწყვეტი დეფორმაციის პირობებში ზოგიერთ ბლოკთაშორის გარდამავალ ზონებში ხდება ბლოკების ფარდობითი ურთიერთგადაადგილების დამუხრუჭება, რასაც მივყავართ დრეკადი პოტენციური ენერგიის აკუმულირების არეების გაჩენასთან. ეს ენერგია, როგორც ცნობილია, შეიძლება განიმუხტოს სწრაფი დინამიკური გარღვევის ანუ მიწისძვრის შედეგადაც. სკ ზონების ანუ ძლიერი მიწისძვრების კერების წარმოშობის პოტენციური ადგილების დადგენის პროცესში საჭიროა ბლოკთაშორისი გარდამავალი ზონების სივრცული მდებარეობის დაზუსტება. დასმული ამოცანის გადასწყვეტად აუცილებელია მონაცემები საკვლევი რაიონის სეისმურად აქტიურ რღვევათა ზონების შესახებ.

3.1 საკვლევი რაიონის სეისმურად აქტიური რღვევები

რაიონი, რომელსაც ვიხილავთ ამ ანგარიშში მოიცავს 15 შედარებით დიდ, სეისმურად აქტიურ რღვევას ან რღვევათა ზონას (რზ), გამოვლენილს გეოლოგიური, გეოფიზიკური, მორფოლოგიური და სეისმოლოგიური კვლევების საფუძველზე (ნახ. 6). აქ მოცემულია საქართველოს (G) რღვევების ჩამონათვალი: ალაზნის რღვევათა ზონა (G1), ორხევის რღვევათა ზონა (G2), ელდარის რღვევათა ზონა (G3), კასპის რღვევა (G4), სურამის რღვევათა ზონა (G5), აწყურის რღვევათა ზონა (G6), ბაკურიანის რღვევა (G7), ტაურტეპეს რღვევათა ზონა (G8), უდაბნოს რღვევათა ზონა (G9), თბილისის რღვევა (G10), თელეთის რღვევა (G11), ხრამის ჩრდილოეთ რღვევა (G12), ხრამის სამხრეთ რღვევა (G13), ჩრდილოეთ ლოქის რღვევათა ზონა (G14), დმანისის რღვევა (G15). ქვემოთ მოყვანილია ამ რღვევების მოკლე აღწერები Adamia et al. (2008) და Sesetyan et al., (2017)-ის მიხედვით.



ნახ. 6. საკვლევი რაიონის სეისმურად აქტიური რღვევები ან რღვევათა ზონები (რზ).

G1 ალაზნის რღვევა

ალაზნის რღვევა სამხრეთ-ვერგენტული შესხლეტვაა და წარმოადგენს ალაზნის პლიოცენ-მეოთხეული „ფიგიბექ“ აუზის ჩრდილოეთ საზღვარს. რღვევა ზედაპირზე არ შიშვლდება და გადაფარულია მდ. ალაზნის მეოთხეული ნალექებით. ჰორიზონტალური გადაადგილების სიდიდე შეადგენს რამდენიმე ასეულ მეტრს. რღვევის სიბრტყის დაქანების კუთხე შეადგენს 60^0.

G2 ორხევის რზ

ორხევის რღვევათა ზონა მთლიანად მოიცავს კავკასიონის ფრონტალურ ნაწილს და წარმოდგენილია სამხრეთ-ვერგენტული შეცოცებით. შეცოცების ჰორიზონტალური გადაადგილების ამპლიტუდა რამდენიმე კილომეტრია (Geology of the USSR, v. 47, 1972; Gamkrelidze and Gamkrelidze, 1977). შეცოცების დაქანების კუთხე 45-35^0-ია.

G3 ელდარის რზ

ელდარის რღვევითი ზონა წარმოადგენს რღვევების სისტემას კონცენტრირებულს მდინარე მტკვრის ხეობაში, მთათაშუეთის დეპრესიაში, რომელიც ყოფს კავკასიონს

და მცირე კავკასიონს ერთმანეთისაგან. რღვევები კვეთავს ნეოგენურ ზღვიურ და კონტინენტურ ნალექებს (Geology of USSR, v. X, 1964; v. 47, 1972). მინგენჩაურის წყალსაცავთან ახლოს ნეოგენური-მეოთხეული ნალექები დეფორმირებულია. რღვევის დასავლეთ სეგმენტი ტექტონიკურ კონტაკტშია პოსტ-მიოცენურ ნალექებთან. რღვევის სიბრტყის დაქანების კუთხე შეადგენს 60^0.

G4 კასპის რღვევა

კასპის რღვევა წარმოადგენს შეცოცებას და განლაგებულია მტკვრის ფორლანდის სამხრეთ ნაწილში. რღვევის სიბრტყის დაქანება შეადგენს $40\text{-}30^0$. ჰორიზონტალური გადაადგილების სიდიდე რამდენიმე კილომეტრია.

G5 სურამის რზ

სურამის რღვევათა ზონა წარმოადგენს სამხრეთ-ვერგენტულ შესხლეტვას. რღვევის სიბრტყის დაქანების კუთხე $80\text{-}70\text{-}60\text{-}50^0$. ეს რღვევა სტრუქტურული საზღვარია მტკვრის ფორლანდის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელსა და აღმოსავლეთ აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელს შორის. სურამის რღვევა არის პასიური ზურგის შეცოცება და მისი ფორმირება დაკავშირებულია სიღრმეში ჩრდილო-ვერგენტული დუპლექსების (ან სოლის) გადაადგილებასთან სამხრეთიდან ჩრდილოეთი მიმართულებით. დუპლექსები აგებულია ცარც-პალეოგენური ქანებით (Alania et al., 2001).

G6 აწყურის რზ

აწყურის რღვევათა ზონა წარმოადგენს ჩრდილო-ვერგენტულ შესხლეტვას. იგი განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის ფარგლებში, ქედის რღვევის სამხრეთით. ზედაპირზე რღვევის სიბრტყის დაქანების კუთხე შეადგენს $70\text{-}60^0$.

G7 ბაკურიანის რზ

რღვევათა ზონა განვითარებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის პალეოგენურ და ცარცულ ქანებში და წარმოდგენილია ჩრდილო-ვერგენტული შესხლეტვით. რღვევის სიბრტყის დაქანება 80^0-ია.

G8 ტაურტეპეს რზ და G9 უდაბნოს რზ (ბაიდას რზ-ის სეგმენტები)

რღვევათა ზონა განლაგებულია პლიოცენ-მეოთხეული მოლასური ნალექების ქვეშ და წარმოდგენილია როგორც ფარული რღვევა. აზერბაიჯანის ტერიტორიაზე ეს რღვევა გამოყოფილია როგორც მარჯვენა ნაწევი დადგენილი მიწისძვრების ფოკალური მექანიზმების მიხედვით (Rastsvetaev, 1989; Kopp, 1997). ამასთან გადაადგილების სიდიდე და სიჩქარე არაა დადგენილი. რღვევის სიბრტყის დაქანება 90-60^0-ია.

G10 თბილისის რღვევა

თბილისის რღვევა კარგადაა გამოხატული რელიეფში და წარმოდგენილია მარჯვენა ნაწევით (Rastsvetaev, 1989; Kopp, 1997). რღვევა მიუყვება მდ. მტკვრის ხეობას და იწყება ქ. მცხეთიდან და გრძელდება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ზედაპირზე რღვევის სიბრტყის დაქანება 85-70^0-ია.

G11 თელეთის რღვევა

თელეთის რღვევა სამხრეთ-ვერგენტული შეცოცებაა და განლაგებულია აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის უკიდურეს სამხრეთ ნაწილში და განვითარებულია თელეთის ანტიკლინის სამხრეთ ფრთაში. ზედაპირზე რღვევის სიბრტყე დაქანებულია 40-35^0-ით. თელეთის ანტიკლინი აგებულია პალეოცენ-ქვედა ეოცენური ტერიგენული ტურბიდიტებით და ფიქლებით (ბორჯომის ფლიში). თელეთის ანტიკლინი ინტერპრეტირებულია როგორ სამხრეთ-ვერგენტული რღვევა-გავრცელებადი ნაოჭი, რომლის სამხრეთ ფრთაში განვითარებულია შეცოცება (Alania et al., 2013).

G12 ხრამის ჩრდილოეთ რღვევა და G13 ხრამის სამხრეთ რღვევა

ეს რღვევები სამხრეთ-ვერგენტული შესხლეტვებია და განლაგებულია აღმოსავლეთ საქართველოს სამხრეთ ნაწილში. ის იწყება ჯავახეთის ზეგანიდან და აღწევს თბილისის რღვევამდე. ზედაპირზე G12 რღვევის სიბრტყის დაქანების კუთხე არის 80-70^0, ხოლო G13 რღვევის დაქანების კუთხე - 80-70-60^0.

G14 ჩრდილოეთ ლოქის რზ

ეს რღვევათა ზონა მდებარეობს ლოქის მასივის ჩრდილოეთით და წარმოადგენს სამხრეთ-ვერგენტულ შეცოცებას. რღვევა განვითარებულია ცარცულ და პალეოგენურ ქანებში. რღვევის დაქანების კუთხე 40-45^0-ია.

G15 დმანისის რღვევა

დმანისის რღვევა წარმოადგენს ჩრდილო-ვერგენტულ შესხლეტვას. რღვევა გრძელდება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. დაქანების კუთხე არის 50-60^0.

3.2 საკვლევი რაიონის სეისმური კერების (სკ) ზონები

სეისმური საშიშროების შეფასების თანამედროვე მეთოდებში რეკომენდირებულია ხაზოვანი ტიპის სკ ზონების გამოყენება, რაც თავის მხრივ ითხოვს რღვევების სამგანზომილებიანი გეომეტრიის ზუსტ ცოდნას. ასეთი დეტალური ინფორმაციის არარსებობის შემთხვევაში ასევე რეკომენდირებულია ფართობრივი (ზონალური) ტიპის სკ ზონების გამოყენება, რაც ყველაზე უფრო მისაღებია საქართველოს დღევანდელი პირობებისთვის.

ამდენად, ზემოთქმულის გათვალისწინებით, აქტიურ რღვევათა მონაცემთა ბაზაზე, კერძოდ, ცალკეული რღვევის სტრუქტურის, დახრილობის, რაიონის სეისმოაქტიური ფენის სიმძლავრის შესახებ არსებული მონაცემების საფუძველზე, დადგინდა მათი დინამიკური გავლენის არის სიგანე. შემდგომში მიწისძვრების კერების გეომეტრიის, იზოსეისტების მიმართულების, ფორ- და აფტერშოკული ზონების ორიენტაციის, კერის მექანიზმების მონაცემების მიხედვით გამოკვლეულ იქნა ამ არეებთან მიწისძვრების კერების კავშირი და ფაქტიურად გამოყოფილ იქნა სკ ზონები.

საკვლევი რაიონში გამოყოფილ იქნა 10 სკ ზონა (იხ. ნახ. 7). ისინი დიფერენცირებულია 0.5 ბიჯით აღებულ ოთხ მაგნიტუდურ დიაპაზონში ($6.0 \le M_{max} \le 7.5$). აქვეა დატანილი $M_S > 4.0$ მიწისძვრების ეპიცენტრები, დაფიქსირებული მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში და აქტიური რღვევები. შემდგომში ჩატარდა სკ ზონების პარამეტრიზაცია (ცხრილი 1).

ცხრილი 1. სკ ზონების პარამეტრიზაცია

# SSZ	M_{Smax}	h_{min}, km	I_{omax}, (MSK)	*a*	*b*
1	7.5	15	10	3.19	0.81
2	6.5	10	9	2.55	0.81
3	6.0	10	8	2.71	0.99
4	7.0	12	9	2.93	0.99
5	7.0	12	9	2.50	0.89
6	6.5	10	9	2.54	0.89
7	6.5	10	9	3.12	0.99
8	6.5	10	9	2.87	0.99
9	6.0	10	8	2.83	0.99
10	6.5	10	9	1.70	0.74



ნახ. 7. საკვლევი რაიონის სკ ზონების რუკა.

სკ ზონების პარამეტრიზაციის დროს ყველაზე უფრო რთულ ამოცანას წარმოადგენს სეისმური პოტენციალის ანუ მაქსიმალური მოსალოდნელი მაგნიტუდის (M_{Smax}) განსაზღვრაა. წარმოდგენილ სამუშაოში ეს ამოცანა გადაწყდა კომპლექსურად, ხუთი მეთოდის გამოყენებით, რომელთაგან სამი სეისმოლოგიურია, ხოლო ორი გეოლოგიური (Wells, Coppersmith, 1994; Shebalin et al., 2000; Wheeler, 2009).

გარდა ამისა თითოეული სკ ზონისათვის განისაზღვრა a და b პარამეტრები, რომლებიც გუტენბერგ-რიხტერის განმეორადობის კანონის კოეფიციენტებია:

$$\lg N = a - bM . \quad (1)$$

პარამეტრი b განისაზღვრა ოთხი მსხვილი ტექტონიკური ერთეულისთვის: I. კავკასიონის სამხრეთ ფერდის ზონა; II. მტკვრის დაბლობი; III. აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელი; IV. ართვინ-ბოლნისის ბელტი (იხ. ნახ. 7), რომლებიც ნაწილობრივ მოიცავენ საკვლევ რაიონს და სადაც სეისმოსტატისტიკა იყო საკმარისი ამ პარამეტრის საიმედო განსაზღვრისთვის. შემდეგ იყო ცდა ამ პარამეტრების განსაზღვრისა ცალკეულ სკ ზონებში, მაგრამ სტატისტიკური უკმარისობის გამო ეს არ მოხერხდა და ამიტომ მათ მიეწერათ იმ ტექტონიკური ერთეულის b პარამეტრის მნიშვნელობები, რომელშიც ისინი მდებარეობდნენ. პარამეტრი a განისაზღვრა ცალკეული სკ ზონისთვის არაწარმომადგენელი მონაცემების კალიბრების მეთოდის გამოყენებით.

ცხრილ 1-ში, ზემოთ აღნიშნული პარამეტრების გარდა, აგრეთვე მოცემულია თითეული სკ ზონაში მოსალოდნელი მაქსიმალური შერყევების მნიშვნელობები (I_{omax}) და მინიმალური სიღრმე, რომელზეც წარმოიშვება მაქსიმალური მიწისძვრები (h_{min}).

აქტიურ რღვევებთან დაკავშირებული მიწისძვრების სიღრმის განაწილების გამოკვლევა მოხდა ზევით ნახსენებ ოთხ მსხვილ ტექტონიკურ ერთეულში. აიგო მიწისძვრების რაოდენობას (n) და სიღრმეს (h) შორის ემპირიული n(h) დამოკიდებულებები. ნახ. 8-ზე წარმოდგენილია მიწისძვრების სიღრმის მიხედვით განაწილების გრაფიკი აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელისთვის, რომელშიც მოცემული ობიექტი მდებარეობს.



ნახ. 8. აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი სარტყელის მიწისძვრების სიღრმის მიხედვით განაწილება: 1 – n(h) დამოკიდებულების ჰისტოგრამა 1900-2015 წწ. დროის პერიოდისთვის; 2 – ამავე პერიოდისთვის მცოცავი გასაშუალებით (ბიჯი 3) მიღებული გრაფიკი.

ამ გრაფიკის ანალიზიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ აჭარა-თრიალეთის ნაოჭა-შეცოცებითი მთიანი სარტყელის ტექტონიკურ ერთეულში მიწისძვრები წარმოიშვება ძირითადად 1 კმ-დან 30 კმ სიღრმემდე (ნახ. 8). თუმცა უმეტესობა მიწისძვრების 20 კმ სისქის სეისმოაქტიურ ფენში ხდება 5, 10 და 15 კმ სიღრმეებზე. ამ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა აქვს სეისმური საშიშროების პროგრამული გამოთვლების დროს.

ცხრილი 1-ის, სკ ზონების რუკის (ნახ. 7) და (I, M, Δ, h)-დამოკიდებულების (იხ. ფორმულა 3) საფუძველზე დადგინდა, რომ უშუალოდ ობიექტის ტერიტორიაზე ყველაზე უფრო მაღალი სეისმური საშიშროება მოსალოდნელია # 1, 3, 4, 5 და 6 სკ ზონებიდან. განვიხილოთ ეს ზონები უფრო დეტალურად:

#1 სკ ზონა დაკავშირებულია ლაგოდეხის (ჩრდილეთ და სამხრეთ), ილტოსა და ალაზნის რღვევათა ზონებთან. ამ სკ ზონის მცირე ნაწილი ხვდება საკვლევ რაიონში, თუმცა იგი რამდენიმე ასეულ კმ-ზეა განფენილი კავკასიონის სამხრეთ ფერდის გასწვრივ. აქ დაფიქსირებულია ძალიან ბევრი ზომიერი და ძლიერი მიწისძვრა. მათ შორის გამოიყოფა მაგალითად, 742 წ. ჯვრის უღელტეხილის (M_S≈6.4, I_o≈8.5); 1530 წ. (M_S≈5.7, I_o≈8.0) და 1742 წ. (M_S≈7.40, I_o≈9.0) ალავერდის; 1756 წ. ((M_S≈4.7, I_o≈7.0)

კახეთის ისტორიული მიწისძვრები და ძლიერი თანამედროვე მიწისძვრები: 1951 წ. მთათუშეთის (M_S=5.2, I_O=6.0); 1992 წ. ბარისახოს (M_S=6.3, I_O=7.5) და სხვა. ამ მკ ზონის სეისმური პოტენციალი ძალიან მაღალია M_{max}=7.5.

#3 სკ ზონა გამოიყოფა ელდარისა და ბაიდას რღვევათა ზონების სეისმური აქტივობის შედეგად. ამ სკ ზონაში დაიკვირვება ბევრი სუსტი და ზომიერი მიწისძვრა, აქვეა (თბილისიდან 30 კმ-ში) ხაშმის მიწისძვრების (1953 წ., 1967 წ., 1994 წ., 1997 წ.) ძალზედ აქტიური ეპიცენტრული ზონა. მისი სეისმური პოტენციალი შეფასებულია, როგორც M_{max}=6.0.

#4 სკ ზონა, რომელშიც მდებარეობს ობიექტი, დაკავშირებულია სეისმურად აქტიურ სურამისა და კასპის რღვევებთან. ამ სკ ზონის გასწვრივ დაიკვირვება ბევრი ძლიერი ისტორიული და თანამედროვე მიწისძვრა: ჩ.წ.აღ. 85 წ. ბებნისის (M_S≈7.0, I_O≈9.5); 1275 წ. მცხეთის (M_S≈6.5, I_O≈9.0); 1890 წ. მცხეთის რაიონის (M_S=5.2, I_O=6.5); 1891 წ. ქარელის რაიონის (M_S=4.5, I_O=5.5); 1920 წ. ქართლის (M_S=6.2, I_O=8.5); 1951 წ. (M_S=4.6, I_O=6.0); 2002 წ. თბილისის (M_S=4.6, I_O=7.5) და სხვ. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს 1275 წ. მცხეთისა და 2002 წ. თბილისის მიწისძვრები, რომელთა ეპიცენტრულ ზონებში ხვდება ობიექტი. ამ სკ-ს სეისმური პოტენციალი მაღალია – M_{max}=7.0.

#5 სკ ზონის მცირე ნაწილი ხვდება საკვლევ რაიონში, თუმცა 150 კმ-ზე მეტი განფენილობა აქვს საქართველოსა და თურქეთის ტერიტორიაზე. მისი წარმოშობა უკავშირდება აწყურის, ბაკურიანის და აგრეთვე პასოფის რღვევათა ზონების აქტივობას. აქ აღინიშნება ძალიან ბევრი ზომიერი და ძლიერი მიწისძვრა. მათ შორის გამოიყოფა 1283 წლის სამცხის მიწისძვრა (M_S=7.0, I_O=9.5); 1925 წ. არდაჰანის (M_S=5.8, I_O=8.5); 1940 წ. ტაბაწყურის (M_S=6.1, I_O=8.0) და 1970 წ. ბორჯომის (M_S=4.7, I_O=7.0). ამ მკ ზონის სეისმური პოტენციალი ასევე მაღალია M_{max}=7.0.

#6 მკ ზონა გამოიყოფა თელეთის რღვევის აქტივობის გამო. მის გასწვრივ დაფიქსირდა ბევრი ზომიერი და ძლიერი მიწისძვრა: 1896 წ. თბილისის რაიონის (M_S=6.3, I_O=7.5); 1909 წ. (M_S=4.2, I_O=5.5); 1912 წ. (M_S=4.4, I_O=5.5); 1969 წ. (M_S=4.2, I_O=4.5) და სხვა. ამ მკ ზონის სეისმური პოტენციალია M_{max}=6.5.

ხუთი სკ ზონის არსებობა, რომლებსაც შეუძლიათ ობიექტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვანი (I≥8.0) სეისმური ზემოქმედების გამოწვევა, ითხოვს ასეთი ზემოქმედების ალბათური და დეტერმინისტული (მაქსიმალური) მნიშვნელობების შეფასებას.

4. ობიექტის ტერიტორიის სეისმური საშიშროების შეფასება

სეისმური საშიშროების შეფასება გულისხმობს საკვლევ რაიონში მოსალოდნელი მიწისძვრების შედეგად გამოწვეულ გრუნტის რყევების ინტენსივობის პროგნოზირებას. ამ ანგარიშში ობიექტის ტერიტორიისთვის სეისმური საშიშროების შესაფასებლად გამოყენებულ იქნა, როგორც ალბათური, ასევე დეტერმინისტული მიდგომები.

4.1 სეისმური საშიშროების ალბათური შეფასება

სეისმური საშიშროების ალბათური შეფასება მოიცავს გრუნტის რხევების მოსალოდნელი სიდიდის გამოთვლას, მითითებული დროის განმავლობაში გადაჭარბების მოცემული ალბათობისთვის. მაგალითად, გრუნტის პიკური აჩქარება, რომელსაც აქვს 10-პროცენტიანი ალბათობა (შეესაბამება 475 წლიან განმეორებადობის პერიოდს) იმისა, რომ იყოს გადაჭარბებული შემდეგი 50 წლის განმავლობაში.

სეისმური საშიშროების შეფასების ალბათობის თანამედროვე მეთოდოლოგია (მაგ., Frankel et al., 1996) განიხილავს შემდეგ ნაბიჯებს:

1. მიწისძვრების სრული კატალოგის შედგენა მაგნიტუდის უნიფიცირებული სკალით;
2. აქტიური რღვევების მონაცემთა ბაზების შედგენა, სკ ზონების აგება. განმეორადობისა და მაქსიმალური მაგნიტუდის შეფასება;
3. გრუნტის რხევების დაცხრომის კანონზომიერების შეფასება;
4. სეისმური საშიშროების მრუდების აგება.

გამოთვლები გვაძლევენ გრუნტის რხევების სხვადასხვა პარამეტრების (მაგ., მაკროსეისმური ინტენსივობა, პიკური აჩქარება, სპექტრალური აჩქარება და ა.შ.)

რიცხვით მნიშვნელობებს გადაჭარბების ნებისმიერი მოცემული ალბათობისთვის ან განმეორადობის პერიოდისთვის.

სეისმური საშიშროების ალბათური შეფასებებისას თითოეული სკ ზონა განიხილება როგორც სეისმური წყარო მისთვის დამახასიათებელი სეისმური პოტენციალით და მიწისძვრების განმეორებადობის კანონით. ერთ სკ ზონაში მომხდარი მიწისძვრების ხარჯზე, ობიექტზე წარმოშობილი მოცემული ინტენსივობის შერყევების განმეორებადობის საშუალო პერიოდით (T) ისაზღვრება ფორმულით:

$$1/T = 1/T_{Mmax} + \cdots + 1/T_{Mmin}, \qquad (2)$$

სადაც $M_{min},\ldots,M_{max}$ არის მაგნიტუდები, რომელთაც ობიექტზე შეუძლიათ მოცემული ინტენსივობის შერყევების გამოწვევა. იგივე პროცედურა ტარდება სხვა სკ ზონებისა და შერყევების ინტენსივობის სხვადასხვა მნიშვნელობებისათვის და შედეგები იკრიბება, რაც საბოლოო ჯამში გვაძლევს საშუალებას მოცემული ობიექტისთვის ავაგოთ სეისმური საშიშროების გრაფიკი, დავადგინოთ მისი ანალიტიკური გამოსახულება და გამოვთვალოთ მოცემული ალბათობის შესაბამისი გრუნტის რხევის მნიშვნელობები.

მაკროსეისმური ინტენსივობის პროგნოზირების მოდელი: მაქსიმალური მაკროსეისმური ინტენსივობის შეფასებისათვის გამოყენებულ იქნა განტოლება:

$$I_{maxobj} = dM_{Smax} - v\lg\sqrt{(\Delta_{min}^2 + h_{min}^2)} + c, \qquad (3)$$

სადაც M_{Smax} – მაქსიმალური მაგნიტუდა ზედაპირული ტალღებით, Δ_{min} – მინიმალური მანძილი სკ ზონამდე, h_{min} – მინიმალური სიღრმე, რომელზეც წარმოიშვება მაქსიმალური მიწისძვრების კერები, ხოლო d, ν და c – კოეფიციენტები, განსაზღვრული საქართველოსთვის (Varazanashvili et al. 2011). უნდა აღინიშნოს, რომ მინიმალური მანძილები ობიექტიდან სკ ზონებამდე აიღება მაქსიმალური მიწისძვრების კერების გეომეტრიული ზომების გათვალისწინებით.

გრუნტის მოძრაობის პროგნოზირების მოდელები: ძლიერი მოძრაობების (რხევების) მონაცემთა ბაზა საქართველოსთვის ძალიან მწირია. განსაკუთრებით ეს ეხება ძლიერ მიწისძვრებს M≥5, რომლებიც ყელაზე უფრო მნიშვნელოვანია ინჟინრული თვალსაზრისით. კავკასიაში არაერთი კვლევა ჩატარდა (Arefiev et al., 1991a; Arefiev et

al., 1991b; Smit et al., 2000; Jibladze et al., 2000) სათანადო განტოლებების განსაზღვრის მიზნით, მაგრამ მცირე მონაცემების გამო სასურველ შედეგები ვერ იქნა მიღებული. იყო ცდა მონაცემთა გაზრდის სხვადასხვა რეგიონების ამ მიზნით გაერთიანების ხარჯზე. თუმცა თითოეული რეგიონის სპეციფიკის გაუთვალისწინებლობის გამო, შესაბამისი განტოლებები საკმაოდ არაზუსტ შედეგებს იძლეოდა (Ambraseys, 1995; Ambraseys and Simpson, 1996). ზოგიერთ შემთხვევაში ცალკეულ რეგიონებს შორის გამოვლენილმა მსგავსობამ აჩვენა, რომ ამ რეგიონებისთვის (მაგ., კავკასია, ჩრდილო-დასავლეთი თურქეთი, ცენტრალური იტალია და სხვა) შესაძლებელია ძლიერი მოძრაობების მონაცემთა ინტეგრირება GMPE – ძლიერი მოძრაობების პროგნოზირების განტოლებების მისაღებად (Smit et al., 2000; Slejko et.al, 2008).

სხვადასხვა რეგიონებში და ტექტონიკურ რეჟიმებში გრუნტის რხევების პროგნოზირებაში ეპისტემიური განუზღვრელობის შესამცირებლად სათანადო GMPE-ის არჩევასთან ერთად აუცილებელია მათი წონების, რეგიონული და კვლევის მიზნებისადნი შესაბამისობის ასახვა. ამ პროცესის წინაპირობას წარმოადგენს ამორჩეული GMPE-ის რაც შეიძლება მცირე, მაგრამ ეპისტემიური განუზღვრელობის შესამცირებლად საკმარისი რაოდენობის მიღება. არჩეული GMPE-ის ნაკრები უნდა მოიცავდეს მაგნიტუდების, მანძილების და სიხშირეების ფართო დიაპაზონს. ამიტომაც გრუნტის მოძრაობის პროგნოზირების მოდელები შემუშავებული გლობალურ მონაცემთა ბაზის გამოყენებით (ანუ გლობალური მოდელები), როგორც წესი, უფრო მისაღებია, ვიდრე რეგიონული მოდელები, რომლებიც მართალია უკეთ ასახავენ გრუნტის მოძრაობის დაცხრომის ადგილობრივ თავისებურებებს, მაგრამ ხშირად საკმარისი კარგი ხარისხის მონაცემების არარსებობის გამო ზღუდავენ მოდელს.

ახალი თაობის დაცხრომების პროექტმა (NGA 2) შეიმუშავა GMPE განტოლებების სერია, რომლებიც გამიზნულია სხვადასხვა გეოგრაფიულ რეგიონებში (მათ შორის თურქეთი და კავკასია) გამოსაყენებლად; ერთადერთი შეზღუდვა არის დაშვება, რომ ტექტონიკურად აქტიურ რეგიონებში მიწისძვრები ხდება ქერქის ზედა ფენაში. დამატებით NGA 2 GMPE მოდელებთან ერთად ჩვენ ასევე განვიხილეთ ყველა მოდელები, რომლებიც შემუშავებულ იქნა ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის გრუნტის ძლიერი მოძრაობების მონაცემებისთვის.

ამ მოსაზრებებიდან გამომდინარე, სეისმური საშიშროების გამოსაკვლევად გამოვიყენეთ GMPE განტოლებები, რომლებიც საკმარისად თავსებადია კავკასიის გრუნტის ძლიერი მოძრაობების მონაცემებთან და აიღება ერთნაირი წონებით:

1. Campbell and Bozorgnia (2014);
2. Chiou and Youngs (2014)
3. Idriss (2014)
4. Zhao et al. (2006).

ანალიზში გამოყენებული პროგრამული უზრუნველყოფა: პროგრამა OPENQUAKE (შემუშავებული GEM გლობალური პროექტის ფარგლებში) გამოყენებული იყო სეისმური საშიშროების გათვლისთვის. შედეგები გადამოწმებული იქნა აგრეთვე EZ-FRISK™ პროგრამით (შემუშავებული რისკის ამერიკული კორპორაციის მიერ), რომელმაც მთელ მსოფლიოში პოვა გამოყენება შესაბამის პროექტებში. ეს პროგრამები, როგორც სეისმური საშიშროების ანალიზის ინსტრუმენტები, ითვლიან მიწისძვრების საშიშროებას გრუნტისთვის, ოღონდ გარკვეული დაშვებებით, მითითებულს მომხმარებლის მიერ. ეს დაშვებები მოიცავს იმას, თუ სად მოხდება მიწისძვრები, როგორი პრამეტრები ექნებათ და როგორი იქნება შესაბამისი გრუნტის მოძრაობები. პროგრამები ასრულებენ სეისმური საშიშროების როგორც ალბათურ, ასევე დეტერმინისტულ გათვლებს. ალბათური გამოთვლების რეზულტატი არის სხვადასხვა დონის გრუნტის რხევების სიხშირის ყოველწლიური გადაჭარბების მნიშვნელობები ჩვენი ინტერესის ადგილზე. აღნიშნული პროგრამები აგრეთვე ითვლიან მაგნიტუდისა და მანძილის განაწილებას და საშუალოს გადახრას, რომელიც იწვევს გრუნტის რხევის მოცემული დონის გადამეტებას. მეორეს მხრივ პროგრამებით გაკეთებული დეტერმინისტული გამოთვლები აფასებენ გრუნტის რხევებს (საშუალოს და გრუნტის რხევების დისპერსიას მითითებული კვანტილებისთვის), რომელიც შეესაბამება მიწიძვრის უდიდეს მაგნიტუდას და რომელიც ხდება ყოველი სეისმური კერის ზონაში მინიმალურ მანძილზე ჩვენი ინტერესის ადგილამდე.

ალბათური სეისმური საშიშროების შეფასების შედეგები: ზემოთ აღწერილი მეთოდიკის (2, 3) განტოლებების გამოყენებით ჩატარებული გამოთვლების

საფუძველზე, მაკროსეისმური ინტენსივობის (MSK სკალა) 0.5 ბიჯით, ობიექტისათვის აგებულ იქნა სეისმური საშიშროების გრაფიკი (იხ. ნახ. 9). იგი გვიჩვენებს მიწისძვრებით გამოწვეული სხვადასხვა MSK ინტენსივობის შერყევების განმეორადობის პერიოდის გამოთვლილ მნიშვნელობებს. მასზე დატანილია, აგრეთვე დაკვირვების დროის განმავლობაში 5±0.5; 6±0.5 და 7±0.5 MSK ინტენსივობის შერყევების დანაკვირვები საშუალო პერიოდები. ამ სიდიდეების განსაზღვრის სიზუსტის ფარგლებში ისინი კარგ თანხმობაშია შესაბამის გამოთვლილ მნიშვნელობებთან. თუმცა უნდა აღინიშნოს ტენდენცია, რომელიც გამოიკვეთა ამ დროს. კერძოდ, ინტენსივობის დანაკვირვები საშუალო პერიოდის მნიშვნელობების დონეები შედარებით უფრო დაბალია ვიდრე გამოთვლილი. ამდენად მოსალოდნელი მაკროსეისმური ინტენსივობის სიდიდეების წარმოდგენისას უმჯობესია გამოთვლილი მნიშვნელობების დამრგვალება ზევით აღნიშნული ტენდენციის გათვალისწინებით (იხ. ნახ. 9 და ცხრილი 2). გარდა ამისა აღსანიშნავია, რომ საქართველოს პირობებში MSK ინტენსივობით გამოხატული დანაკვირვები მაკროსეისმური ველი წარმოადგენს სეისმური საშიშროების პროგნოზული შეფასების პრაქტიკულად ერთადერთ მაკონტროლებელ ფაქტორს. ცხრილ 2-ში მოცემულია ობიექტის სეისმური საშიშროების ალბათური შეფასება მაკროსეისმური ინტენსივობისთვის.



ნახ. 9. ობიექტის სეისმური საშიშროების გრფიკი, გამოხატული მაკროსეისმური ინტენსივობით (MSK სკალა).

ცხრილი 2. ობიექტის ალბათური სეისმური საშიშროების შეფასება, გამოხატული მაკროსეისმური MSK ინტენსივობით (t=50 წელი მოლოდინის პერიოდისთვის).

P , % (T, წელი)	10 (475)	2 (2475)
I_{obj} , MSK	8.0	9.0

იმავე პრინციპების საფუძველზე შესაძლებელია სეისმური საშიშროების გრფიკების აგება გრუნტის პიკური (PGA) და სპექტრალური აჩქარებებით (SA).

ობიექტის მოედნისთვის მიღებულ იქნა მიწისძვრის დროს გრუნტის რხევების ალბათური მნიშვნელობები, რომლებიც შეესაბამება სხვადასხვა განმეორებადობის პერიოდის მქონე ჰორიზონტალურ კომპონენტებს (PGAH და 5% დაცხრომის 0.2, 1 და 4.0 წმ SAH) ამგებ გრუნტებზე (V_{S30}=515 მ/წმ – მკვრივი გრუნტი), წარმოდგენილს ცხრილ 3-ში და ნახ. 10, 11, 12 და 13-ზე. ამ ცხრილში მოცემული შედეგები შეესაბამება 475 და 2475 წელი განმეორებადობის პერიოდებს. შედარებისთვის, ცხრილ 3-ში აგრეთვე მოცემულია შედეგები, გათვლილი კლდისთვის (V_S=801 მ/წმ). გრუნტის რხევის ვერტიკალური კომპონენტები მიღებულია როგორც 2/3 ჰორიზონტალური კომპონენტების. ხოლო ნახ. 14-ზე ნაჩვენებია ერთიანი საშიშროების სპექტრი ობიექტისთვის.

ცხრილი 3. ობიექტის ალბათური სეისმური საშიშროების შეფასება (ჰორიზონტალური კომპონენტა, მკვრივი გრუნტი V_{S30}=515 მ/წმ და კლდე V_{S30}=801 მ/წმ, მოლოდინის დრო 50 წელი).

P, % (T, წელი)	10 (475)		2(2475)	
გრუნტის ტიპი	მკვრივი	კლდე	მკვრივი	კლდე
PGAH (g)	0.455	0.369	0.761	0.612
SAH (g) 5% დაცხრომა (T=0.2 წმ)	1.063	0.785	1.855	1.369
SAH (g) 5% დაცხრომა (T=1 წმ)	0.262	0.175	0.484	0.324
SAH (g) 5% დაცხრომა (T=4 წმ)	0.034	0.025	0.067	0.049



ნახ. 10. ობიექტის სეისმური საშიშროების გრფიკი, გამოხატული PGA-თი (სპექტრალური პერიოდი 0.01 წამი).



ნახ. 11. ობიექტის სეისმური საშიშროების გრფიკი, გამოხატული SA-თი (სპექტრალური პერიოდი 0.2 წამი).



ნახ. 12. ობიექტის სეისმური საშიშროების გრფიკი, გამოხატულ SA-თი (სპექტრალური პერიოდი 1.0 წამი).



ნახ. 13. ობიექტის სეისმური საშიშროების გრფიკი, გამოხატულ SA-თი (სპექტრალური პერიოდი 4.0 წამი).



ნახ. 14. ერთიანი საშიშროების სპექტრი ობიექტისთვის.

4.2 სეისმური საშიშროების დეზაგრეგაცია

მიწისძვრის სცენარის შერჩევა საშიშროების დეზაგრეგაციის საფუძველზე ფაქტიურად წარმოადგენს ალბათურ მაჩვენებელს იმისა, თუ რომელ მოვლენებს შეაქვთ ყველაზე დიდი წვლილი საშიშროებაში.

ალბათური სეისმური საშიშროების დეზაგრეგაცია მოიცავს ცვალებადი მიწისძვრის მცნებას, ძირითადად მაგნიტუდის, მანძილის და სხვა ცვლადი სიდიდეების მიხედვით, რომლებიც განსაზღვრავენ სეისმურ მოვლენებს და სეისმური საშიშროების არჩეულ დონეს (McGuire, 1995; Bazzurro and Cornell, 1999).

ალბათური სეისმური საშიშროების შეფასების დროს გრუნტის რხევების ყოველი პარამეტრისთვის გამოითვლება გადაჭარბების საშუალო პროცენტი (აღნიშნული, როგორც SA(T)), რომლებსაც გააჩნიათ გადაჭარბების ფიქსირებული ალბათობები. დეზაგრეგაციული ანალიზი საზღვრავს იმ განხვავებულ SA(T) მნიშვნელობებს, რომლებსაც შეაქვთ ძირითადი წვლილი ჯამური საშიშროების მრუდში.

დეზაგრეგაციული გამოკვლევები მოიცავს შემდეგ კვლევებს: ერთგანზომილებიანი 1-D მაგნიტუდური M ბიჯით, ორგანზომილებიანი 2-D მაგნიტუდისა და მანძილის M-R ბიჯით და სამგანზომილებიანი 3-D მაგნიტუდის, მანძილისა და ეპსილონის M-R-Epsilon ბიჯით. აქ ჩვენ გამოვიყენეთ 2-D M-R ბიჯს მაგნიტუდა-მანძილის წვლილის შეფასებისთვის მოცემული სეისმური საშიშროების კვანტორებში (რაოდენობრივ თანაფარდობებში).

გრუნტის რხევების პარამეტრები, რომლებიც შეიძლება გამოითვალოს კონკრეტულ მოედანზე მიღებული ჩანაწერიდან (მაგ., T პერიოდის სპექტრალური აჩქარება SA(T)) მიწისძვრის (M) მაგნიტუდისა და (R) მანძილის გათვალისწინებით, როგორც წესი მოდელირდება, როგორც ლოგნორმალური ცვლადი. ანუ, ლოგარითმი SA(T), რომელსაც ჩვენ ავღნიშნავთ, როგორც ln(SA(T)) და რომელსაც აქვს ნორმალური განაწილება (μ). საშუალოთი და სტანდარტული გადახრით (σ).

$$\ln[SA(T)]=f(M,R,\alpha)+\varepsilon\sigma\ . \qquad (4)$$

აქ α წარმოდგენს რეგრესიის სხვა ცვლადს რომელიც განსხვავდება M და R ცვლადებისაგან (ისეთი როგორიცაა კერის მექანიზმი და გრუნტის პირობები), ხოლო εσ წარმოადგენს ცთომილებას. ეპსილონი (ε) არის გრუნტის რხევების პარამეტრების (Sa(T)) გადახრების საზომი პროგნოზირებული საშუალო მნიშვნელობებიდან (Bazzurro and Cornell, 1999). ეპსილონი ისაზღვრება, როგორც სტანდარტული გადახრების რიცხვი, რომელთა საშუალებით დანაკვირვები ლოგარითმული სპექტრალური აჩქარებები განსხვავდებიან გრუნტის რხევების საშუალო ლოგარითმული სპექტრალური აჩქარებებისგან, რომლებიც პროგნოზირებული იყო დაცხრომის განტოლებებით.

ობიექტისთვის დეზაგრეგაციის შედეგები 475 და 2475-წლიანი განმეორებადობის პერიოდისთვის (50-წლიანი მოლოდინის დრო) PGAH-თვის და

5% დაცხრომის 0.2 და 4.0 წმ SAH-თვის, კლდისა და მკვრივი გრუნტისთვის მოცემულია ცხრილ 4-ში, აგრეთვე თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი ნახ. 15, 16, 17 შესაბამისად.

ცხრილი 4. დეზაგრეგაციის შედეგები ობიექტისთვის (ჰორიზონტალური კომპონენტა, მკვრივი გრუნტი, V_{S30}=515 მ/წმ).

	ამპლიტუდა	მოდა მაგნიტუდა (Mw)	საშუალო მაგნიტუდა (Mw)	მოდა მანძილი (კმ)	საშუალო მანძილი (კმ)	მოდა ეპსილონი	საშუალო ეპსილონი
PGA, (T=0.01 წმ), 475 წ.	0.45	5.05	5.49	6.25	19.65	1.90	1.60
PGA, (T=0.01 წმ), 2475 წ.	0.76	5.05	5.57	3.75	13.88	1.90	1.89
SA, (T=0.2 წმ), 475 წ.	1.06	5.05	5.71	6.25	21.14	1.50	1.56
SA, (T=0.2 წმ), 2475 წ.	1.85	5.05	5.83	3.75	15.63	1.90	1.84
SA, (T=4.0 წმ), 475 წ.	0.03	7.45	6.53	101.25	52.23	1.30	1.17
SA, (T=4.0 წმ), 2475 წ.	0.07	7.45	6.54	101.25	35.87	1.50	1.45



ა) ბ)

ნახ. 15. ობიექტისთვის მაგნიტუდა-მანძილის დეზაგრეგაცია PGA-თვის, როცა განმეორებადობის პერიოდი ტოლია: ა) 475 წ., ბ) 2475 წ.



ა) ბ)

ნახ. 16. ობიექტისთვის მაგნიტუდა-მანძილის დეზაგრეგაცია SA (T=0.2 წმ)-თვის, როცა განმეორებადობის პერიოდი ტოლია: ა) 475 წ., ბ) 2475 წ.



ა) ბ)

ნახ. 17. ობიექტისთვის მაგნიტუდა-მანძილის დეზაგრეგაცია SA (T=4 წმ)-თვის, როცა განმეორებადობის პერიოდი ტოლია: ა) 475 წ., ბ) 2475 წ.

ობიექტის ალბათური სეისმური საშიშროების დეზაგრეგაციის შედეგების მიხედვით (იხ. ცხრილი 4) საშიშროებაში ძირითადი წვლილი შეაქვს: მაღალსიხშირული სპექტრით (0.01, 0.2 წმ) M_W=5.5-5.8 (M_S=5.1-5.5) მაგნიტუდური დიაპაზონის მიწისძვრებს საშუალოდ 18 კმ მანძილზე, რაც ობიექტის ახლო ზონას მოიცავს (ძირითადად სკ ზონები #4 და 6) და დაბალსიხშირული სპექტრით (4 წმ) M_W=6.5 (M_S=6.5) საშუალოდ 44 კმ მანძილზე (ძირითადად სკ ზონები #2, 5, 7 და 8).

4.3 სეისმური საშიშროების დეტერმინისტული შეფასება

სეისმური საშიშროების დეტერმინისტული შეფასება არ განიხილავს დროის ფაქტორს. გრუნტის რყევის შეფასება დაფუძნებულია რაიონის აქტიურ რღვევებზე და სეისმური კერების ზონებზე, თუ ვივარაუდებთ, რომ მიწისძვრების შესაძლო სცენარებს შორის მოხდება უარესი ვარიანტი.

მოცემულ ობიექტზე სკ ზონებიდან მოსალოდნელი მაქსიმალური სეისმური ზემოქმედებების შეფასება განხორციელდა მიწისძვრის ინტენსივობით (MSK სკალა), გრუნტის პიკური აჩქარებებით (PGA), აგრეთვე 0.2, 1 და 4.0-წამიანი სპექტრალური აჩქარებით (SA).

ცხრილი 5 წარმოგვიდგენს გამოთვლების შედეგებს მაქსიმალური მაკროსეისმური ინტენსივობის (MSK) და გრუნტის პიკური აჩქარებისთვის (PGA) და სპექტრალური აჩქარებით (SA) 0.5 კვანტილისთვის, ყოველი სკ ზონის უდიდესი მაგნიტუდისთვის, უმოკლეს მანძილზე ობიექტამდე. ზონები დალაგებულია ობიექტიდან სკ ზონამდე უმოკლესი მანძილის ზრდის მიხედვით.

ცხრილი 5. ობიქტის სეისმური საშიშროების დეტერმინისტული შეფასება.

# SSZ	M_{Smax}	M_{Wmax}	$PGA_{Obj.}$(g)	$SA^{0.2}{}_{Obj.}$(g)	$SA^{1}{}_{Obj.}$(g)	$SA^{4}{}_{Obj.}$(g)	R (კმ)
4	7.0	7.0	0.808	1.700	0.710	0.120	1
6	6.5	6.5	0.719	1.510	0.569	0.079	1
7	6.5	6.5	0.232	0.541	0.156	0.025	15
3	6.0	6.1	0.122	0.291	0.070	0.008	19
8	6.5	6.5	0.136	0.320	0.094	0.015	24
9	6.0	6.1	0.082	0.198	0.050	0.007	30
2	6.5	6.5	0.101	0.237	0.070	0.011	32
5	7.0	7.0	0.144	0.333	0.109	0.022	32
10	6.5	6.5	0.048	0.112	0.036	0.006	58
1	7.5	7.4	0.108	0.239	0.090	0.020	59

როგორც 0.5 კვანტილის დეტერმინისტული შეფასებებიდან ჩანს (იხ. ცხრილი 5) მაღალი სეისმური საშიშროება (0.81 g PGA) მოსალოდნელია #4 მაკონტროლებელი სკ ზონიდან, რომელშიც ობიექტია განლაგებული და მისი მიმდებარე #6 სკ ზონიდან (0.72 g PGA). მნიშვნელოვანი სეისმური ზემოქმედება აგრეთვე შესაძლებელია #5, 7 და 8 სკ ზონიდანაც, (0.136-0.232 g PGA).

ცხრილ 6-ში წარმოდგენილია დეტერმინისტული საშიშროება #4 მაკონტროლებელი ზონიდან 0.84 კვანტილისთვის. ხოლო ნახ. 18, 19 მოცემულია

ობიექტისთვის დეტერმინისტული სპექტრის განსაზღვრის შედეგები 0.5 და 0.84 კვანტილებისთვის.

ცხრილი 6. დეტერმინისტული სეისმური საშიშროება #4
მაკონტროლებელი სკ ზონიდან 0.84 კვანტილისთვის.

# SSZ	M_{Smax}	M_{Wmax}	$PGA_{Obj.}$(g)	$SA^{0.2}_{Obj.}$(g)	$SA^{1}_{Obj.}$(g)	$SA^{4}_{Obj.}$(g)	R (კმ)
4	7.0	7.0	1.521	3.414	1.479	0.250	01



ნახ. 18. დეტერმინისტული სპექტრი ობიექტისთვის, განსაზღვრული შეწონილ დაცხრომის განტოლებებით ყველა წყაროსთვის, 0.5 კვანტილისთვის.



ნახ. 19. დეტერმინისტული სპექტრი ობიექტისთვის, განსაზღვრული შეწონილი დაცხრომის განტოლებებით ყველა წყაროსთვის, 0.84 კვანტილისთვის.

4.4 სამშენებლო მოედნისთვის აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა

მოცემული ობიექტისთვის აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევა განხორციელდა საკვლევი რაიონის სეისმოლოგიური მონაცემების საფუძველზე, რომელიც შეიცავს ქ. თბილისის რაიონისთვის: სეისმური კერების ზონების მონაცემებს, კერძოდ მაქსიმალურ მაგნიტუდას, კერის სიღრმეს, ეპიცენტრულ მანძილს, რღვევის მექანიზმს, ხოლო ობიექტის სამშენებლო მოედნისთვის – ლოკალურ გეოლოგიას, ამგები გრუნტების სეისმური განივი ტალღის სიჩქარეს და პიკურ აჩქარებას. ვინაიდან შემკვეთმა არ მოგვაწოდა ინფორმაცია შენობისა და ფუძე-გრუნტების ძირითადი დინამიკური მახასიათებლების (მაგ., ფუძე-გრუნტების საკუთარი რხევის პერიოდები, შენობის მოდალური ფორმები და რხევის პერიოდები და ა.შ.) მნიშვნელობების სავარაუდო დიაპაზონის შესახებ, აქსელეროგრამების შერჩევა მოხდა მხოლოდ ზემოთ აღწერილ სეისმოლოგიურ მონაცემებზე დაყრდნობით.

აქსელეროგრამების პაკეტის შერჩევისთვის გომოყენებულ იქნა საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში მოძიებული მასალები, კერძოდ - ევროპის პროექტრის მიწისძვრის ჩანაწერები „Internet-site for European Strong-Motion Database", ბერკლის უნივერსიტეტის - Pacific Earthquake Engineering Research Center: NGA Database მონაცემთა ბანკში არსებული აქსელეროგრამები.

აღნიშნულ მონაცემთა ბაზებში მოძიებულ იქნა რვა აქსელეროგრამა: 1986 წლის "Chalfant Valley-02"-ის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი, 1976 წლის „Friuli_ Italy-01"-ის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი, 1991 წლის 29 აპრილის რაჭის მიწისძვრის „Leninakan-SDR Station"-ს ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი, 1999 წლის 11 ივლისის Izmit (aftershock) - ის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი, 1992 წლის 23 იანვრის "Kefallinia island"-ის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი, 1980 წლის "Mammoth Lakes-01"-ის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი, 1979 წლის 15 აპრილის „Montenegro"-ის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი, 1994 წლის 17 იანვრის „Northridge-06"- ის ერთი სამკომპონენტიანი ჩანაწერი.

